# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ხუთშაბათი, 14 მარტი. 2019 წ. №51 (8717) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


## წიმის ნომერში

**ბისმარკი ჩვენს შინაგან საქმეთა სამინისტროში, ანუ ბანკირმა წერილი წაილო და გალმაც გავიდა მარილზე** 3

**მე გაბრალებ, შენ თავი იმართლე! ყალბის-მქმნელთა პარპაში უნდა დასრულდეს!** 5

**აუცილებელია ახალი რუის-ურბნისი! ღია წერილი მთელ სამეგრელოს...** 7

## სალომე ზურაბიშვილი ნიკოლ ფაშინიანს შეხვდა

**საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი სომხეთში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ნიკოლ ფაშინიანს შეხვდა.**

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, სალომე ზურაბიშვილმა და ნიკოლ ფაშინიანმა ორ ქვეყანას შორის კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებასა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში მშვიდობის მნიშვნელობაზე იმსჯელეს. შეგახსენებთ, რომ სალომე ზურაბიშვილი უკვე შეხვდა სომხეთის პრეზიდენტს არმენ სარგისიანს. პრეზიდენტის ვიზიტი სომხეთში ორდღიანია და 14 მარტს დასრულდება.

## პრემიერ-მინისტრს ტოკიოში იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა უმასპინძლა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამუშაო ვიზიტი იაპონიაში საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრით დაიწყო. მამუკა ბახტაძეს ტარო კონომ ოფიციალურ ვახშამზე უმასპინძლა. საუბარი შეეხო საქართველოსა და იაპონიას შორის თანამშრომლობის განვითარებას და აღინიშნა, რომ პრემიერის ვიზიტი იაპონიაში ორმხრივი ურთიერთობის ახალ დონეზე გადასვლას შეუწყობს ხელს.**

მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა იაპონიის მხარდაჭერას სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის მნიშვნელოვანი პროექტების დაფინანსების კუთხით, ასევე ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების პოტენციალს. აღინიშნა, რომ ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმება. საქართველოსა და იაპონიას შორის არსებულ თანამშრომლობაზე გაამახვილა ყურადღება პრემიერ-მინისტრმა და იმედი გამოთქვა, რომ მისი ვიზიტი წარმატებულ ორმხრივ ურთიერთობას ახალ სიმაღლეზე აიყვანს. **„ჩვენთვის — იაპონიისა და საქართველოსთვის — ყველაზე მნიშვნელოვანი ხალხთა შორის ურთიერთობაა. ჩვენს ერებს შორის არსებული კარგი დამოკიდებულება შესანიშნავ წინაპირობად მიმაჩნია როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თანამშრომლობის გასაძლიერებლად. ასევე, ვისურვებდით მეტი იაპონელი მეგობარი გვეხილა საქართველოში და მეტი ბიზნესკავშირები დამყარებულიყო ჩვენს ორ ერს შორის“,** — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

**სამუშაო ვიზიტის ფარგლებში მთავრობის მეთაური საქართველო-იაპონიის ბიზნესფორუმსა და გამოფენას — „საქართველო — ღვინის სამშობლო“ გახსნის.**

## არამართლმადიდებელი სასულიერო პირები სავალდებულო სამსახურის გადავადების უფლებით ველარ ისარგებლებენ!

**თავდაცვისა** და უშიშროების კომიტეტის **თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა სამხედრო სავალდებულო სამსახურთან დაკავშირებით ორი საკანონმდებლო ინიციატივა დაარეგისტრირა.**

სესიაშვილის ინიციატივით, უქმდება ნორმა, რომლითაც მღვდელმსახურები სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების უფლებით სარგებლობენ, თუმცა ეს ინიციატივა არ გავრცელდება მართლმადიდებელ სასულიერო პირებზე. სესიაშვილი ამას კონკორდატით გათვალისწინებული წესებით ხსნის.

**„პირველი ცვლილება იმ წვევამდელებს შეეხება, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობენ და სამხედრო სავალდებულო სამსახური გადავადებული აქვთ. იმ შემთხვევაში, თუ ისინი გამოთქვამენ სურვილს, სწავლის პარალელურად მოიხადონ სამხედრო სავალდებულო სამსახური საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში, ყოველთვიურად მიიღებენ 200 ლარს, ისარგებლებენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი შეღავათებით და სამხედრო სავალდებულო სამსახური მოხდილად ჩაეთვლებათ. წარმოდგენილი ცვლილება ერთი მხრივ, ემსახურება, ქვეყნის ინტერესს და ამავდროულად მიმართულია სტუდენტების ინტერესების ხელშეწყობისკენ.**

**მეორე ცვლილებით გაუქმდება ნორმა, რომლითაც პირები, რომლებიც არიან მღვდელმსახურები სარგებლობენ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების უფლებით. დღეისათვის ამ ნორმასთან მიმართებაში გამოიკვეთა ხარვეზები და პრობლემური საკითხები, რომლებიც დარეგულირებას საჭიროებს. პირები, რომლებიც სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების შესაბამისად, უარს განაცხადებენ, მოიხადონ სამხედრო სავალდებულო სამსახური, აქვთ კანონიერი უფლება და ვალდებულება, გაიარონ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური სამხედრო სავალდებულო სამსახურის ნაცვლად“,** — განმარტა ირაკლი სესიაშვილმა.

## გაქცეული პრეზიდენტის გაუქცეველი ხუმტურები

4

**მიშაჯან, აკი გვპირდებოდი, დაგასვენებთო?!**

## „ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა...“

**„დრო ის ოყჯის, როცა ოუფჭდ ხარჯვენ“**



ანონსი

15 მარტიდან

ასე ამბობდა ჰენრი ფორდი

## „ბანკი ქართუ“ „რუსთავი-2“-ს უჩივის

# რავა ყველა შენ გიჩივის, შე ენაგაჭარტალებულო

„ბანკი ქართუ“ „რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ სარჩელის შეტანას აპირებს. ამის შესახებ განცხადებას „ბანკი ქართუ“ ავრცელებს.

**„ბანკი ქართუ“ ეხმიანება 2019 წლის 9 მარტს „რუსთავი-2“-ში „შაბათის კურიერში“ გავრცელებულ ცრუ ინფორმაციას ბანკის ფულის გათეთრებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.**

**„ბანკი ქართუ“ მის კლიენტებთან საქმიან ურთიერთობაში სრულად ასრულებდა და ასრულებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ვალდებულებებს.**

**„რუსთავი-2“-ის სიუჟეტში მოყვანილ პირთან გარი შალელაშვილთან დაკავშირებით, გვსურს, საზოგადოებას განვუმარტოთ, რომ გარი შალელაშვილი არის საქართველოს მოქალაქე, რომელსაც 2013 წლიდან ბანკში ჰქონდა გახსნილი ანგარიში (გარი შალელაშვილს ანგარიში გახსნილი ჰქონდა საქართველოს სხვა კომერციულ ბანკებშიც). ამასთან, ანგარიშის გახსნის დროს არ არსებობდა ინფორმაცია (არც საჯარო სივრცეში და არც ბანკისთვის ხელმისაწვდომ სპეციალურ საძიებო ბაზებში) გარი შალელაშვილზე, როგორც რაიმე მაქინაციურ გარიგებებში მონაწილე (ბრალდებულ) პირზე. გარი შალელაშვილი საქმიანობდა საქართველოს ფარგლებს გარეთ, რაც კიდევ უფრო აძნელებდა ამ პირის საქმიანობის შესახებ მონაცემების სრულყოფილ შესწავლას.**

**2014 წლის დეკემბრის თვეში გარი შალელაშვილმა გამოთქვა სურვილი, ბანკის მიერ სხვა პირზე გაცემული კრედიტის ასანაზღაურებლად დასაკუთრებული ერთ-ერთი აქტივის შეძენაზე. ამ აქტივის, როგორც ბანკის არაპროფილური აქტივის, ოპერატიულად გასხვისების ვალდებულება ბანკს გააჩნდა საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციიდან გამომდინარე. მხარეთა შორის შედგა შეთანხმება და ბანკმა აღნიშნული აქტივი გაასხვისა საბაზრო ფასში. დაინტერესების შემთხვევაში ბანკი იმავე ქონების რეალიზაციის გარიგებაში შევიდოდა შეძენით დაინტერესებულ სხვა პირთანაც.**

**გარი შალელაშვილის მიმართ 2015 წლის 21 ივლისს, ანუ ბანკისგან ზემოაღნიშნული აქტივის დასაკუთრებიდან 6 თვეზე მეტი ვადის გასვლის შემდეგ, მოხდა ბრალის წაყენება სხვადასხვა ფინანსურ დანაშაულში და აღნიშნული ინფორმაცია განთავსდა საჯარო სივრცეში (იხ. ამერიკის ფასიანი ქაღალდების კომისიის (SEC) ვებ-გვერდი: https://www.sec.gov/news/pressrelease/2015-152.html . ასევე ამერიკის სახელმწიფო პროკურორის ბრიფინგი: https://www.youtube.com/watch?v=U!APuESKVg6&t=38s ). აღნიშნული ინფორმაცია, საჯაროდ განთავსების itv https://www.youtube.com/watch?v=U1APuESKVgI&t=38s ).lujv, 2015 წლის 4 აგვისტოს ცნობილი გახდა „ბანკი ქართუსთვის“, რაზეც საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს კანონმდებლობით დადგენილი წესით ვაცნობეთ 2015 წლის 7 აგვისტოს, 2015 წლის 10 აგვისტოს და 2015 წლის 12 აგვისტოს, ინფორმაციის წყაროების და სხვა დეტალების მითითებით.**

**2015 წლის 12 აგვისტოს ბანკმა ასევე განცხადებით მიმართა საქართველოს პროკურატურას და მიაწოდა ინფორმაცია შესაძლო დანაშაულთან დაკავშირებით. სწორედ პროკურატურაში „ბანკი ქართუს“ განცხადების შეტანის შემდეგ, სასამართლოს განჩინებების საფუძველზე, 2015 წლის აგვისტოს თვეში განხორციელდა საგამოძიებო მოქმედებები, დოკუმენტაციისა და ინფორმაციების ბანკიდან ამოღება და გამოძიების პროცესში გამოკვეთილი პირების ანგარიშების დაყადაღება.**

**ბანკის კანონშესაბამისი, თანმიმდევრული და დროული მოქმედებებით გახდა შესაძლებელი ფინანსური მაქინაციებში შესაძლო მონაწილე პირების მიმართ საგამოძიებო მოქმედებების ოპერატიულად ჩატარება, რაც გამორიცხავს ფულის გათეთრებაში ბანკის რაიმე ფორმით მონაწილეობასთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაციის სისწორეს.**

**„ბანკი ქართუ“ მოუწოდებს ყველას, თავი შეიკავონ ბანკის რეპუტაციის შემლახავი, გადაუმოწმებელი და სინამდვილესთან შეუსაბამო ფაქტების გავრცელებისგან. მსგავსი ცრუ ბრალდებები დიდ ზიანს აყენებს ბანკის რეპუტაციას და პარტნიორ ორგანიზაციებთან მის ურთიერთობას.**

**„ბანკი ქართუს“ განზრახული აქვს სარჩელით მიმართოს სასამართლოს „შაბათის კურიერში“ გავრცელებულ ცილისმწამებლურ განცხადებებთან დაკავშირებით, რათა სასამართლო წარმოების გზით განხორციელდეს ბანკის საქმიანი რეპუტაციის დაცვა, ასევე დადგეს ცილისმწამებლური განცხადებების გამავრცელებელი პირების სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხი“,** — აღნიშნულია „ბანკი ქართუს“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# მემკვიდრეობით მიღებული მიწის ფლობა

## მხოლოდ ეთნიკურად ქართველ უცხოეთის მოქალაქეს შეეძლება

**„სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ“ კანონპროექტის მიხედვით, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, იკრძალება უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირის მიერ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების უფლება.**

იურიდიული პირის შემთხვევაში კი, მიწას დაიკანონებს მხოლოდ ის, რომლის დომინანტი პარტნიორი ქართველია, ანუ ფლობს კომპანიის წილის 50%-ზე მეტს.

კანონის პროექტი ადგენს საგამონაკლისო შემთხვევებსაც. კერძოდ, უცხოელ ფიზიკურ პირს შეიძლება გააჩნდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა საკუთრებაში მემკვიდრეობის საფუძველზე.

მას შემდეგ, რაც სოციალურ ქსელში განხილვები მოჰყვა კანონში ამ ჩანაწერს, „საქმიანი დილის“ ეთერში კანონპროექტის ავტორმა და პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ განმარტა, რომ საგამონაკლისო შემთხვევა მხოლოდ ეროვნებით ქართველ უცხო ქვეყნის მოქალაქეზე ვრცელდება და არანაირი გამონაკლისი უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე არ ვრცელდება.

**„საუბარია, ქართველებზე, ემიგრანტებზე, რომლებსაც აქვთ შეცვლილი მოქალაქეობა. მილიონზე მეტი ემიგრანტია, რომლებიც გვინდა დავუბრუნოთ საქართველოს. ჩვენ პრიორიტეტს საქართველოს მოქალაქეებს ვანიჭებთ. მემკვიდრეობაში ვგულისხმობ, მაგალითად, როცა მშობელი ცხოვრობს საქართველოში, მისი შვილი წავიდა გერმანიაში და მიიღო გერმანიის მოქალაქეობა. მას აქვს შესაძლებლობა, დაბრუნდეს და დაეუფლოს ოჯახის მიწის ნაკვეთს, მიუხედავად ტექნიკური მოქალქეობისა, ისაა ეთნიკურად ქართველი, ამიტომაა ამ ადამიანებზე საუბარი. არანაირი გამონაკლისი უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე არ ვრცელდება“,** — განმარტავს ოთარ დანელია.

# კახა კალაძე: მეგობრობა ჩემთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ პირველ ადგილზე ქალაქის ინტერესი დგას

**თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე დედაქალაქის მერი თაბორის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთის საკითხს შეეხო, რომელიც პარლამენტარ ბექა ოდიშარიას საკუთრებაშია.**

კახა კალაძის თქმით, მიუხედავად ტერიტორიის მესაკუთრესთან მეგობრობისა და იმ ფაქტისა, რომ იმ ზონებით, რომელიც ნაკვეთს ადევს, შესაძლებელია მშენებლობა, თაბორის №1-ის განაშენიანება მისაღები არ არის.

**ეს მიწის ნაკვეთი პარლამენტის წევრ ბექა ოდიშარიას საკუთრებაშია. ბექა ჩემი მეგობარია, მე დასამალი არაფერი მაქვს, თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მეგობრობა და, ასევე, ის ფაქტი, რომ ჩვენ ერთი გუნდის წევრები ვართ, ჩემთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ პირველ ადგილზე დედაქალაქის ინტერესებია,** — განაცხადა კახა კალაძემ.

მისი თქმით, ბექა ოდიშარია მიწის ნაკვეთის კეთილსინდისიერი მფლობელია და როგორც სხვა შემთხვევებში, ახლაც არ დაზარალდება კერძო მესაკუთრის ინტერესი.

**თბილისის მერის თქმით, ლანდშაფტის ზოლი 80-იანი წლების შემდეგ არ განახლებულა და აუცილებელია, შეიქმნას შესაბამისი კომისია, რომელიც ამ საკითხს გადახედავს.**

**კახა კალაძემ აღნიშნული საკითხის მოგვარებას განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან კომუნიკაციით გეგმავს.**

* * *

როგორც თბილისის მერმა დედაქალაქის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, არსებული პროექტი გადასახედია, რადგან ის არც დიზაინით და არც სამუშაოების წარმოების თვალსაზრისით, მისაღები არ არის.

**„საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების მნიშვნელობაზე ჩვენ ძალიან ხშირად ვსაუბრობთ. კერძოდ, იმაზე, რომ აუცილებელია ტრანსპორტის განახლება, მოწესრიგება, რათა იგი ყველაზე კომფორტული და სწრაფი იყოს. მეტროსადგურების განახლება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან იქ არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება იმას, რაც გვინდა. შესაბამისად, ვიწყებთ მათ რეაბილიტაციას, თუმცა მეტროსადგურ „ავლაბრის“ სარეაბილიტაციო სამუშაოებს გავეცანი და მიმაჩნია, რომ მათი წარმოება ამ ფორმით და დიზაინით, პირადად ჩემთვის და ალბათ ყველასთვის, ვინც ამას ნახავს, კატეგორიულად მიუღებელია. ჩვენ არ ვსაუბრობთ კოსმეტიკურ შეკეთებაზე. იმან, რასაც გავაკეთებთ, ათეულ წლებს უნდა გაძლოს და საუკეთესოდ უნდა იყოს შესრულებული. ვფიქრობ, რომ არსებული პროექტი გადასახედია, რადგან არც დიზაინით და არაფრით მისაღები არ არის“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

* * *

კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული მოქალაქეების ფართებით დაკმაყოფილების მიზნით გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში ოთხმა კომპანიამ გაიმარჯვა.

კახა კალაძის თქმით, აღნიშნული მიმართულებით, 3000-ზე მეტი ოჯახია დაზარალებული და ქალაქის მთავრობა მათ ამ პრობლემის მოგვარებას დაჰპირდა. ტენდერში გამარჯვებული კომპანიები იღებენ ვალდებულებას, რომ 200-მდე დაზარალებული ოჯახი საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილონ.

## განათლება და მეცნიერება

# დიდი შემობრუნების დასაწყისი

საზოგადოების პროგრესი და მეტ-ნაკლებად მისი დინამიკური განვითარება სრულიად წარმოუდგენელია მეცნიერების გარეშე. ფაქტია ისიც, რომ მეცნიერების წარმატების საწინდარი სახელმწიფოს მხრიდან განუხრელი ზრუნვაა, რაც ბოლო წლების მანძილზე ასე დააკლდა მეცნიერებას. მისასალმებელია, რომ საქართველოს მთავრობა დღეს მთელი შემართებით შეუდგა მდგომარეობის ძირფესვიან გამოსწორებას, უფრო მეტიც, მან სათავე დაუდო ამ სფეროში დიდ შემობრუნებას. ამ დღეებში მთავრობის თავმჯდომარემ მამუკა ბახტაძემ და მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა მეცნიერებისა და განათლების სფეროში რეფორმების მორიგი ეტაპისადმი მიძღვნილ საგანგებო შეხვედრებზე მკაფიოდ განსაზღვრეს ძირითადი მიმართულებები, მათ შორის, მეცნიერების დაფინანსების მკვეთრი ზრდის პროგრამა, რომლის მიხედვით, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების წინაშე მდგარ გამოწვევებთან გამკლავებაში ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება განათლების მაღალ დონეს, რომლის მიღწევის ფუნდამენტად მეცნიერებას აღიარებს.

ის უზრუნველყოფს კვლევების ეფექტიანობას, რაც, თავის მხრივ, უეჭველად, მძლავრ სტიმულს მისცემს მაღალი ტექნოლოგიური პროექტების კვლევას მეცნიერების სხვადასხვა დარგში და მათ დანერგვას, რაც სჭირდება ქვეყნის ეკონომიკას; ხელს შეუწყობს ნიჭიერი ახალგაზრდების შემობრუნებას მეცნიერებისკენ, საგრძნობლად გაზრდის მათ მოტივაციას ამ სფეროში სამოღვაწეოდ.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მთავრობის ამ ნაბიჯებს აღიქვამს როგორც დიდ შემობრუნებას საქართველოში განათლებისა და მეცნიერების აღმავლობის გზაზე და გამოთქვამს მზადყოფნას, თავისი წვლილი შეიტანოს ქვეყნისათვის ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ჩანაფიქრის რეალიზაციაში.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

# ბისმარკი ჩვენს შინაგან საქმეთა სამინისტროში,

## ანუ ბანკირმა წერილი წაიღო და გაღმაც გავიდა მარილზე

**დიდებული გამოგონებაა ქაღალდი. ძველმა ჩინელებმა ეს მართლაც კარგი რამ დაუტოვეს მადლიერ კაცობრიობას. ოღონდ, სამწუხაროდ, ინსტრუქცია არ მოაყოლეს და ამ მშვენიერ გამოგონებაზე შეგიძლია დაწერო: „დედაო ღვთისა, მზეო მარიამ, როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი, ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია და შორეული ცის სილაჟვარდე“ ან მეზობელს კარს ქვემოთ შეუცურო, რომ ცოლი რქებს ადგამს...**

აი, ახლაც: „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ მამუკა ხაზარაძემ მიიღო (სავარაუდოდ, უკვე გირკვა, საიდან და ვისგან) საიდუმლო, ხელმოუწერელი (და უმისამართო) წერილი, რომელიც ძირისძირობამდე განჩხრიკეს ძალიან ჩაღრმავებულმა, ძალიან დაკვირვებულმა, ძალიან გამჭრიახმა ელექტროუურნალისტებმა და სხვა პრესტიჟული, ანუ გონიერი პროფესიის გოგობიჭებმა. მათ დედუქციური მეთოდით, ანუ შერლოკჰოლმსურად ამოიცნეს წერილის ავტორი ისე, რომ არც წერილი უნახავთ (მხოლოდ ასლი დალანდეს ტელეეკრანებზე) და არც მისი ვითომ ავტორი ხელშესახებად, ასე ვთქვათ, ცოცხლად.

ასე და ამრიგად, ჩინელების საუკუნეთა წინანდელმა გამოგონებამ 2019 წლის თებერვალში საზოგადოებრივი ცხოვრება ისე გაგვივარვარა და აგვიდუღა, რომ პომპეის უკანასკნელ დღეს დაამსგავსა.

ბანკირმა ერთი კი ამოღერღა, შინაგან საქმეთა მინისტრმა მუქარის წერილი გამომიგზავნაო, და საქართველოს ცა მოერღვა: როგორ თუო! აბა საპარლამენტო კომისია შევქმნათო, აბა გახარია მართალია თუ მტყუანი, პროფილაქტიკისთვის მაინც გადავაყენოთ და ხელისუფლებაც ზედ მივაყოლოთო! რა მშვენიერი, მართალი და გულწრფელია ჩვენი ოპოზიცია, თითოეული მისი წევრი, ქალი თუ კაცი, შინაური თუ გარეული. რა ზედმიწევნით იციან ყველაფერი, რა საიდუმლოს არ ამზეურებენ გულის კარნახით. სანამ გახარიები დამნაშავე თავში რაიმე უკუღმართობას გაივლებენ, ოპოზიცია უკვე მაგიდაზე აწყობს კონტრარგუმენტებს!

აი, ახლაც: რითი მტკიცდება გახარიას ბრალეულობა?

როგორ თუ რითი, ყველაზე ნაღდით **— მის მეტი სხვა ვინ იზამდა!**

კიდევ უფრო მეტი — შეიძლება, წერილი მართლაც არ არის გახარიას დაწერილი, მაგრამ მისი შეკვეთილი ნამდვილად იქნება!

ჯერ ისიც არ ვიცით, ეს ფარატინა ქაღალდი გაიგზავნა თუ არ გაიგზავნა და სავარაუდო (ვისი ვარაუდია? რის საფუძველზე ნავარაუდევი?) ავტორის წინააღმდეგ ორკესტრირებული (ადრე იტყოდნენ, შეხმატკბილებულიო) შეტევა აგორდა.

იკვეთება ამ ორკესტრირების ერთი ახალი ნიშან-თვისება: აქამდე გაწეწვებით სულშეღონებულმა, მაგრამ პირში წყალჩაგუბებულმა ბიზნესმენებმა ენა ამოიდგეს და თაკოებსა და ოთოებზე მეტი დაჟინებით მიაწყდნენ ტელეეკრანებს.

ეს კი ასე არ იყო. ზაზა ოქუაშვილის მიერ გადაუხდელი და დაგროვილი ვალებით (მილიონებით!) დაყაჩაღებული სახელმწიფოს აყვირების ნაცვლად მაშინ სწორედ ოქუაშვილი აყვირდა, **მძარცვავენო,** და იმდენი იყვირა, სანამ ვალები არ გადაუვადეს, თუმცა ოქუაშვილს სამი თუ ოთხი თითის კომბინაცია სამახსოვროდ მყარად დარჩა.

**გასულ** შაბათს ტელევიზიამ გამოამზეურა დიდი მონაპოვარი, რაზეც აქამდე თავს ამაოდ იმტვრევდა მთელი საზოგადოება: ვინ იყო შუამავალი მსხვერპლსა და მუქარის ავტორს შორის, ვინ მიუტანა განწირულ ხაზარაძეს ის მუქარის ბარათი? აღმოჩნდა, რომ შუამავალ-ფოსტალიონი ყოფილა მამუკასვე პარტნიორი ბანკიდან და სანდო მოყვარე, იმავდროულად, გახარიას მეზობელი **ბადრი ჯაფარიძე.**

აქ ერთი შედარება უნდა მოვიხმო, ოღონდ სანამ ბოლომდე არ ჩაუღრმავდებით, ნუ შეიცხადებთ: საქართველოს 2019 წლის თებერვალი მაგონებს საფრანგეთსა და გერმანიაში 1870 წლის ივლისში არსებულ ვითარებას.

გავიხსენოთ: სხვადასხვა ერთეულებად დაშლილი პატარ-პატარა გერმანული სახელმწიფოები ერთიანდებიან პრუსიის ჰეგემონობით, რასაც ეწინააღმდეგება საფრანგეთი, რომელიც ცდილობს, ევროპაში პირველობა შეინარჩუნოს. ობობასავით ჩასაფრებული პრუსიის რაიხსკანცლერი ბისმარკი გულდაგულ აყურადებს, თუ როგორ ცმუკავს იმპერატორი ნაპოლეონ III და ანკესს გადაუგდებს — მისგანვე მიღებულ დეპეშაში ორ სიტყვას შეცვლის, რამაც, ფაქტობრივად, სრულიად გააყალბა ტექსტის შინაარსი, რაც მთავარია, იგი საფრანგეთისთვის სრულიად მიუღებელი, შეურაცხმყოფელი გახდა. ევროპა მოლოდინად იქცა. გაოფთრებულმა ნაპოლეონმა პრუსიას ომი გამოუცხადა. ამრიგად, პრუსია თავდამსხმელი კი არა, თავდამცველია! ომი წარიმართა ისე, როგორც რაიხსკანცლერი ვარაუდობდა: საფრანგეთი დამარცხდა: ნაპოლეონი ტახტიდან ჩამოაგდეს, ჩამოართვეს ელზასა — ლოტორინგია, კონტრიბუციად გადაახდევინეს 5 მილიარდი ფრანკი. რაც მთავარია, გერმანია ერთიან ეროვნულ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

ეს ამსიგრძე ისტორიული ექსკურსი იმად მოგახვიეთ თავს, რომ რაღაც პარალელები იკვეთება დღევანდელობასთან.

განვმარტოთ, იმ და ამ მოვლენას შორის მხოლოდ ქაღალდია საერთო — იქ გაყალბებული დეპეშა, აქ საეჭვო წარმომავლობის წერილი.

კაცმა რომ თქვას, გარკვეულად მსგავსია შედეგიც. როცა წერილი მიიღო (თუ მართლა მიიღო), ხაზარაძეც ნაპოლეონ მესამესავით ავარდა და იმასავით თავიც წააგო — უკვე დაიქნიეს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობიდან. მართალია, ჯერჯერობით ქონებას და ანაკლიის ინვესტიციას ინარჩუნებს, მაგრამ, ვაითუ კისა ვორობიანინოვივით („12 სკამი“) პიატიგორსკში შადრევანთან მოუწიოს ხელის გაწვდა — „გაიღეთ მოწყალება ყოფილი ბანკირისთვის!“, მან აკი წერილი უკვე წაიღო და გაღმაც გავიდა მარილისთვის.

**გავიმეოროთ: იმ და ამ მოვლენას შორის მხოლოდ ქაღალდია საერთო (იქ გაყალბებული დეპეშა, აქ საეჭვო წარმომავლობის წერილი). და თუ ჩავუღრმავდებით, საერთოა შედეგიც: იქ დამხობილი საფრანგეთი და იმპერატორი, აქ დამხობილი ბანკის მმართველობა და აყაყანებული ძვეყანა და კიდევ: მოსალოდნელი ათასი უბედურება; თუნდაც თაკო ჩარკვიანის მძვინვარე პარტიის „კანონი და სამართალის“ არენაზე გამოჩენა რად ღირს (რა თქმა უნდა, მორალურად).**

მაშინ გერმანიაში ქართველი ოპოზიციონერები არ იყვნენ, ისტორიამ მოგვიანებით შეიტყო ბისმარკის სუქინსინობა. მას ბუმბულიც არ აშლია, 20 წელი ფაქტობრივად ერთპიროვნულად მართავდა გერმანიას.

გიორგი გახარია მართალია გმირულად იმხნევებს თავს, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენში ზემოთ ნახსენები ოპოზიცია საჭიროზე უხვადაც არის და ყველაფერსაც იკადრებს ხელისუფლების საწყენად, საკითხავია, რამდენ ხანს იქნება მინისტრი ასე ყოჩაღად?

ოღონდ საქმე ის არის, რომ გიორგი გახარია საერთოდ არ შეესატყვისება თავის „პროტოტიპს“ — ყალბისმქმნელ რაიხსკანცლერს, მაგრამ, ალბათ, მაინც მოუწევს პასუხის გაცემა, თუნდაც იმაზე, თუ რას გველაძუობდა ამ საქმეში „საეჭვო კაცი“ კოკა ყანდიაშვილი, რომელიც ორი დღის წინათ გამოჩხრიკეს, ანუ რა კავშირი შეიძლება ჰქონოდა მას ამ საქმესთან?

**ოღონდ ჯერ არ გარკვეულა კიდევ ერთი არსებითი დეტალი, რომელიც ბევრ დაფარულ საიდუმლოს ამოხსნიდა კროსვორდივით: სად, რა გეოგრაფიულ და ფსიქოლოგიურ გარემოში გადასცა ჩასაფრებულმა გახარიამ მუქარის წერილი ჯაფარიძეს ხაზარაძისთვის გადასაცემად — შინაგან საქმეთა სამინისტროს ლიფტში, საძმო ტუალეტში თუ სამეზობლო ავტოფარეხში?**

მაგრამ ადრე თუ გვიან ყოველივე გაცხადდების და ამასაც შევიტყობთ.

ჯერჯერობით კი მუქარა მუქარად რჩება, სანამ ლონდონიდან პასუხი არ მოვა, ამ მუქარის წერილის დედანზე, რომელიც გამოსაკვლევად შერლოკ ჰოლმსის სამშობლოშია გაგზავნილი, გიორგი გახარიას თითების ანაბეჭდებისა და დნმ-ის ნაწილაკების აღმოსაჩენად, ეჭვის საფუძველი რჩება. აკი ამბობს ზოგიერთი სულსწრაფი — ეს წერილი სულაც ტვ-1-ის თვითმუქარას ჰგავს საკუთარი რეიტინგის ასამაღლებლადო. ჰოდა, თუ შინაგან საქმეთა მინისტრის ავტორობის ვერსიას აქვს არსებობის უფლება მხოლოდ ვიღაც უნდოს მიერ გამოთქმული მინიშნების საფუძველზე, ტვ-1-ს რატომ წავართვათ იგივე უფლება?

**რაც მთავარია, რატომ არ მივცეთ ჩვენს თავს თხზვისა და ილუზიის უფლება, უამისოდ ხომ ხელისუფლებაც ხელისუფლებას არ ემსგავსება და ოპოზიციის ფასიც გროშ-კაპიკი იქნება!**

მერე გვინდა ჩვენ ეს?!

**ალეკო ასლანიშვილი**

# გაქცეული პრეზიდენტის გაუქცეველი ხუშტურები

## მიშაჯან, აკი გვპირდებოდი, დაგასვენებთო?!

**მე არ დამვიწყებია და, ალბათ, თქვენც კარგად გახსოვთ, პატივცემულო მკითხველო, მიშა ოღრაშმა (ეს სიტყვა მატყუარა, აფერისტ, გადამგდებ, ჩამშვებ სააკაშვილს დაუყვედრებლად მოერგო) იმ პერიოდში, როცა საქართველოდან სამართალს გაქცეულმა უცხოეთს შეაფარა თავი, როგორი გულისამაჩუყებელი სიტყვებით აგვიცრემლა თვალები. როგორც მაშინ გვაუწყა, არჩევნებში დამარცხებული და მშობლიური ქვეყნიდან კუდამოძუებული პრეზიდენტყოფილი, თურმე, ღრმად ჩაფიქრებულა და მიმხვდარა, რომ მრავალი წლის დაძაბული აღმშენებლობითი მოღვაწეობის შემდეგ შეუძლებელია, ხალხს მმართველი ყელში არ ამოსვლოდა. ამიტომაც გადაუწყვეტია, რომ ხალხს მისგან დასვენება სჭირდება და თავი რომ არ მოებეზრებინა, საზღვარგარეთ გადახვეწილა.**

ამის შესახებ მიშა ოღრაშმა საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის გახსნისას (მთლად რომ არ ამოგვეგდო მეხსიერებიდან, სახსოვრად ბიბლიოთეკა დაგვიტოვა) უცხოეთიდან სკაიპით პირდაპირი ჩართვის დროს განაცხადა: **„მიმაჩნია, რომ ჩემს ხალხს ჩემგან დასვენება სჭირდებოდა. რაღაც ეტაპზე ადამიანი თავის ყველა უბედურებას მმართველს აბრალებს და ჰგონია, რომ მისი ბედნიერების რეცეპტი პრეზიდენტის სეიფში ინახება. ეს არის მომენტი, როცა უნდა გაეცალო“,** — დასძენდა ბრძნულად სააკაშვილი.

აი ასე, თუმცა ოღრაშსა და ცრუპენტელას, მაგრამ ხალხის კეთილდღეობაზე გადაგებულ სააკაშვილს, როგორც ყოველთვის, წინდახედულმა „გონიერებამ“ არც ამჯერად უმტყუნა და ღატაკი ქვეყნის მაშვრალთ ყველა თავისი გასაჭირი და უბედურება მისთვის რომ არ გადაებრალებინათ (ამის საშიშროება ნამდვილად არსებობდა), მომენტი იპოვა და გაეცალა. მან ზოგიერთივით კი არ იგოთვერნა და იმამაძაღლა — ჩადენილი დანაშაულების გამო პასუხისმგებლობას გავექეცი (არადა, ეს სრული ჭეშმარიტება იქნებოდა), არამედ ხალხი „აღმშენებლობით“ გადამეტვირთა და ჩემგან დასვენების შანსი მივეცი.

ყოჩაღ, მიშაჯან! მსოფლიო მასშტაბით აბა შენს გარდა მსგავს მოწყალებას სხვა რომელი ქვეყნის ლიდერი გამოიღებდა? ულევი ენერგიის პატრონი, ერთთავად იმას დარდობდი, ხალხი გადამეღალაო, შენს დაღლილობაზე კი სიტყვას ვერ დაგაცდენინებდით.

სააკაშვილს პოსტის დაკარგვის შემდეგაც არ სურდა, გამოტეხილიყო, რომ გადაიღალა და აქეთ გვიკიჟინებდა: ცოტაც რომ დამცლოდა, ნახავდით, რა სასწაულებს მოვახდენდი, ქართველებს ისეთ აყვავებულ ქვეყანას დავუტოვებდი, თავის დროზე ცხონებულ მიუნჰაუზენსაც კი არ დაესიზმრებოდაო.

ამას ამბობს კაცი ( თუ შეიძლება ამას კაცი ერქვას), რომელმაც საკუთარი ქვეყანა მთელი 9 წლის მანძილზე სიცრუეში ამყოფა, ქარის წისქვილები ამტვრია, სასწაული რეფორმები და ექსპერიმენტები ატარა, მოსახლეობის მესამედი უცხოეთში გადახვეწა, ვირტუალური სახელმწიფო შექმნა და შემდეგ მშიერ-მწყურვალი ხალხი პიარ-შოუებითა და უსახური კონცერტებით აპურა, დაგვაზომბირა და მერე, როგორც უკანასკნელი ლაჩარი, ქვეყნიდან აითესა. და ახლა ამ სინდისის პატრონს (ჰქონდა კი ოდესმე მიშას სინდისი?) ენა უტრიალდება, ამტკიცოს, რომ მას შემდეგ, რაც მან მმართველის პოსტი დატოვა, ხელისუფლებაში მოსულმა ქოცებმა მისი აშენებული ქვეყანა მიწასთან გაასწორეს, მთელი სიმდიდრე თავად იგდეს ხელთ, ხალხი კი მშიერ-მწყურვალი დატოვეს. რატომღაც დაავიწყდა მისი ტოტალურ-ძალადობრივი რეჟიმი, ციხეებში პატიმრების წამება-გაუპატიურებით რომ იყო „დასაქმებული“ და ახლა ბიძინა ივანიშვილის ერთპიროვნულ მმართველობას „აცამტვერებს“. მაგან მთელი ქვეყანა თავის საკარმიდამო ნაკვეთად აქცია, სახელმწიფო ინსტიტუტები და საჯარო მოხელენი კი ყურმოჭრილ მონებადო. აი, დღეს იქნება თუ ხვალ, დავბრუნდები საქართველოში და ივანიშვილის ავადმყოფური ხელმწიფობიდან ბუნდღაც აღარ დარჩებაო.

მაგრამ ვიდრე დაბრუნდებოდეს, მანამდე საქართველოს მეგობარი უკრაინა „მოინადირა“, დამთხვეულმა და ხუშტურებიანმა ნაპრეზიდენტალმა იქ ვერც გუბერნატორად ივარგა და ვერც რევოლუციონერ-გადამტრიალებლად, საქართველოს მოქალაქეობასთან ერთად უკრაინის მოქალაქეობაც დაკარგა და პოლიტიკურ მაწანწალად იქცა. მის ადგილზე ზოგი მოიწყენდა და ცხოვრებაზე ხელს ჩაიქნევდა, მიშა კი, ნურას უკაცრავად (უყვარს ეს გამოთქმა), უსკამოდ უფრო მოძრავი, ღრუბლებზე მფრინავი კოსმონავტივით ჩაუქი გახდა. დაავიწყდა, რომ ქართველ ხალხს დასვენებას შეპირდა და დედამიწის სხვადასხვა წერტილიდან ივანიშვილის მთავრობას ჩამოგდებით ემუქრება.

ასეა, დაწანწალებს ახლა ჩვენი ჩაუქი მიშა ოღრაში ქვეყნიდან ქვეყანაში, ქალაქიდან ქალაქში, აწყობს ქართველ ემიგრანტებთან „რევოლუციურ“ შეხვედრებს, მათთან ერთად ხლართავს მშობლიური ქვეყნის „ივანიშვილისგან გამოხსნის“ ვარიანტებს და ვერ ხვდება, რომ სისულელეების ყბედობით კიდევ ერთხელ იჭრის თავს. დარწმუნებულია, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ საქართველოში რომ ჩასულიყო, ულვაშა ვაშაძე გაიმარჯვებდა და ზურაბიშვილი მწარედ დამარცხდებოდა. ეს კი არა, დაბეჯითებით „ამტკიცებს“, საკმარისია საქართველოს მიწაზე დავდგა ფეხი და 72 საათში „ოცნების“ მთავრობიდან ჩინოვნიკობა სულ ფართხაფურთხით გაიქცევაო. რატომ აძლევს ივანიშვილს შეღავათს — გასაქცევად 72 საათს და არა, ვთქვათ, 12 საათს, — ამას დამთხვეული სააკაშვილი, ალბათ, „ოცნების“ ჩამოგდების შემდეგ გვეტყვის.

მისი თქმით, „მასზე საქართველოში ძალიან დიდ იმედებს ამყარებენ“ და არ უნდა ხალხს ეს იმედები გაუცრუოს. „ხალხი ჩემგან რაღაც მოქმედებას მოელის, — განაცხადა მან უცხოური პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში, — სხვანაირად ქვეყანა უბრალოდ იღუპება. ეს ისეთივე შეგრძნებაა, თითქოს შენი შვილი იღუპება, რომელიც გააჩინე, გამოკვებე, მეექვსე კლასამდე მიიყვანე და უცებ რაღაც საშინელი გრიპი შეეყარა, გართულებებით. სასწრაფო ზომებია მისაღები და მშობელი ვერ იტყვის, ბავშვი ჩაგაბარეთ და ახლა თქვენ მიხედეთო. ეს უკვე შიგნით გტკივა და შეუძლებელია რეაგირების გარეშე დატოვება. მე პასუხისმგებლობას ვგრძნობ, ჩემი პირმშო იღუპება“, — იცრემლება გულშეწუხებული სააკაშვილი.

საოცარია, პირდაპირ საოცარი, დავით აღმაშენებლის „სადარი“ მმართველისა და მხედართმთავრის ასეთი გულჩვილობა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თავისი უტვინობით 2008 წელს ზემოთ ნახსენებ „გრიპიან ბავშვს“ საკუთარი ტერიტორიის 20 პროცენტი დააკარგვინა, რუსთაველზე რუსეთთან შეთხზული გამარჯვება იზეიმა და ქართლის გადამწვარ-აოხრებულ სოფლებს „ქვების გროვა“ უწოდა.

ამის შემდეგ სულაც არ არის გასაკვირი, რომ ამ საარაკო გმირობის ავტორი მიშა ოღრაში ბელგიისა და იტალიის შემდეგ თავის მორიგ შეხვედრას უცხოეთში გადახვეწილ ქართველ ემიგრანტებთან ამჯერად საბერძნეთში გეგმავს. რატომ მაინცდამაინც საბერძნეთში? იმიტომ ხომ არა, რომ ერთ-ერთმა ამერიკულმა კლინიკამ, რომელმაც თითქოს სააკაშვილის ეროვნული წარმომავლობის ფესვები გამოიკვლია, „უტყუარად“ დაადგინა, რომ ის 99 პროცენტით ქართველი და 1 პროცენტით ბერძენია (სომხობისთვის 1 პროცენტიც ვერ გაიმეტა!). ისე, გაუგებარია, რატომ შეეპარა ეჭვი წმინდა სისხლის ქართველობაში სააკაშვილს, **მას უჭკუობას უწუნებენ და არა ეროვნულობას,** მაშინ, როცა მისი სახელოვანი სისხლისმიერი ბაბუა მიხეილ სააკოვი წლების მანძილზე სანაქებო მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში.

თუმცა, ჩვენში რომ ვთქვათ, განა აქვს კი რაიმე მნიშვნელობა ნაცების ნაგვემნაწამებ საქართველოში სააკაშვილის სომხობას, ან გნებავთ, ქართველობას? არა, რა თქმა უნდა. აი, ის კი ნამდვილად საინტერესოა, როგორ ჩაივლის საბერძნეთში დაანონსებული ქართველ ემიგრანტთა მორიგი თავყრილობა. სააკაშვილი ისევ გაიწვდის ხელს და საქართველოში დასაბრუნებლად „ცოტაოდენ“ ფულს მოიმათხოვრებს, თუ სამშობლოდან გადახვეწილებს კვლავაც „ოცნების“ ხელისუფლების ჩამოსაგდებად შეაგულიანებს? ისე, ჯერ ფულით გაძეძგილი სააკაშვილი რას წარმოადგენდა და ახლა, შიშველ-ტიტვლად დარჩენილი ნაცბელადი აქ ვის რაღაში წაადგება?!

**შეგონება: მიშა ოღრაშო, თუკი სინდისის ნატამალი მაინც შეგრჩენია (რაც არ ჰქონდა, როგორ შერჩებოდა?), პირჯვარი გადაიწერე, რომ ჯერ-ჯერობით ოთხ კედელშუა გამომწყვდეული არ ხარ, ისარგებლე საქართველოს ხელისუფლების „დემოკრატიული“ უნიათობით, დააყენე მის საგინებლად მიმართული ეგ ჭარტალა ენა, შენც დაისვენე და ჩვენც დაგვასვენე.**



**დამიჯერე, ასე აჯობებს.**

**ოთარ ხუციშვილი**

# მიხეილ სააკაშვილი: იმ ფილმში სრულიად გიჟი უნდა ვყოფილიყავ, და ნიკოლას ქეიჯს ეს არ მოეწონა

**უკრაინის ტელეკომპანია „ნაშ“-ის გადაცემაში „В ГОСТЯХ У ДМИТРИЯ ГОРДОНА“ ცნობილი უკრაინელი ჟურნალისტი დიმიტრი გორდონი საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ესაუბრა პირდაპირი ჩართვით. „მეგობრებო, დღეს ჩვენთან სტუმრადაა ადამიანი, რომელმაც შეცვალა საქართველო და შეეცადა უკრაინის შეცვლას“, — ასე დაიწყო გადაცემის წამყვანმა თავისი საუბარი ექსპრეზიდენტთან, რომელიც, მისი თქმით, ამჟამად აშშ-ში იმყოფება.**

**„დიმიტრი გორდონი: ამჟამად სად ცხოვრობთ?**

— ვცხოვრობ ამსტერდამსა და ვარშავას შორის. ვარშავაში ამას წინათ უკრაინელ თანაპარტიელებს შევხვდი. ვიყავი ლიეჟში, რომში, სადაც ქართველებს შევხვდი. ახლა ნიუ-იორკში ვარ... მოკლედ, დავდივარ მსოფლიოში და ვემზადები შემდგომი ბრძოლისათვის.

**— დღეს თქვენ თავს უფრო მეტად გრძნობთ მსოფლიოს მოქალაქედ?**

— არა, არა... მიუხედავად იმისა, რომ მე (კონკრეტული ქვეყნის) მოქალაქეობა არ მაქვს, თავს მსოფლიოს მოქალაქედ არ ვგრძნობ. უბრალოდ, მე მსოფლიოში ერთადერთი ადამიანი ვარ, რომელსაც ორი სახელმწიფოს მოქალაქეობა აქვს ჩამორთმეული და იმავდროულად მაინც აქტიურ საქმიანობას განაგრძობს.

**— რა სახსრებით ცხოვრობთ, რა შემოსავლები გაქვთ?**

— ამჟამად კონტრაქტი მაქვს დადებული ნიდერლანდის სპიკერთა აკადემიასთან, რომელიც ჩემი ლექციების ჩატარებას უზრუნველყოფს სხვადასხვა ქვეყნებში. ხელფასს ბევრს არ მიხდიან, მაგრამ უფრო მეტს ვიღებ, ვიდრე ოდესის ოლქის გუბერნატორობის დროს ვიღებდი მთელი წლის განმავლობაში. ჩავატარე ლექციები ნიდერლანდში, გერმანიაში, ახლა პოლონეთისთვის ვემზადები. ჩემი ლექციები უპირატესად პოლიტიკის სფეროს ეხება. გარდა ამისა, როცა მე პოლიტიკურ საქმეებზე დავდივარ, ვთქვათ, ვხდები ქართველ ემიგრანტებს, მათ თავიანთი ფონდი აქვს და ჩემს მგზავრობას ისინი აფინანსებენ. როცა უკრაინელებს ვხვდები, მათ შორის არიან ადამიანები (მაგრამ არა ოლიგარქები), რომლებიც მეხმარებიან. აი, ასე მიწევს ცხოვრება. არავის ეგონოს, რომ მე დიდი მატერიალური რესურსები მაქვს. სამწუხაროდ, ასე არ არის“.

გადაცემის დროს საუბარი შეეხო უკრაინის ხუთი წლის წინანდელ მოვლენებს, ყირიმის ამბებს. როგორც მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, 2014 წელს, როცა პეტრო პოროშენკო ჯერ კიდევ არ იყო უკრაინის პრეზიდენტი, იგი გეგმავდა, რომ ყირიმზე უარი ეთქვა და ამის სანაცვლოდ ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებულიყო.

**„მიხეილ სააკაშვილი:** სამწუხაროდ, ყირიმის სა-

# ყალბისმქმნელთა პარპაში უნდა დასრულდეს!

**ყალბი ინფორმაციების გავრცელება და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მანიპულირება, აგრესიული ლიბერალებისა და ნაციონალური მოძრაობის მთავარი პროპაგანდის ბიუროს საქმიანობის მთავარი ღერძს რომ წარმოადგენს, არახალია.**

ბევრს არ მოვყვები, რადგანაც ყველას კარგად გვახსოვს წინასაარჩევნო პერიოდში მათი „მუშაობა“ საზოგადოებისთვის „ტვინის გამორეცხვის“ მიმართულებით. გვახსოვს ე.წ. „ჟურნალისტი“, ვინმე მარიამ გაფრინდაშვილის „ილეთი“, თუ როგორ დებს კებეებზე ვითომდა დაზიანებული ვიდეოკამერის დეტალს. გვახსოვს ე.წ. „გავლენიანი არასამთავრობოების“ მიერ გავრცელებული ფეიქ-ნიუსი, რომელიც, მათდა სამწუხაროდ, „გაბაზრდა“.

ეს ყველაფერი გვახსოვს, მაგრამ ისიც გვახსოვს, რომ ამ ყველაფერს, შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია.

დღეს, როდესაც საზოგადოებისთვის მეტად საკრალურ საკითხს, რაც ბაგრატიონთა სამეფო კარს ეხება და, სამწუხაროდ, თავად ამ გვარის წარმომადგენელთა მხრიდან საკმაოდ კომიკური ხასიათი მიეცა (ეს აბსოლუტურად სხვა თემაა და ამაზე სხვა დროს), ჩასაფრებულმა აგრესიულმა ლიბერალებმა მომენტი ხელიდან არ გაუშვეს და სცადეს დარტყმა საქართველოს პატრიოტთა ალიანსზე და მის ლიდერზე, დავით თარხან-მოურავზე მიეტანათ.

დიდი ხანია ცნობილია, რომ მიუხედავად იმისა, დავით თარხან-მოურავი არ არის სოციალური ქსელის, ფეისბუქის მომხმარებელი, აგრესიული ლიბერალების მიერ გახსნილია მისი ფეიქ-აქაუნთი, რომელსაც ისინი საჭიროებისამებრ იყენებენ.

საუბედუროდ ზოგიერთი „მედიასაშუალება“ (ბრჭყალები კორექტურა არ გეგონოთ. გამიზნულად დავწერე) მშიერი სვავებივით ესხმიან თავს ფეიქ-ნიუსებს და რბილად რომ ვთქვა, საზოგადოებას ცრუ ინფორმაციას აწვდიან.

ირმა ინაშვილის აქტიური ჩარევის შემდეგ ზოგიერთმა მედიასაშუალებამ წაშალა თავიანთივე გავრცელებული ყალბი ინფორმაცია და ბოდიშიც მოიხადა, მაგრამ საოცარი იყო rezonancedaily.com, ანუ იგივე რეზონანსის მიერ „მოხდილი ბოდიში“, რომელიც არამცთუ ჟურნალისტურ, არამედ ნორმალურად მოაზროვნე ადამიანების სტანდარტებშიც არ ჯდება, და შეიძლება თქმა, რომ ლიბერასტიზმის უმაღლეს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს.

ცხადია, მე არ გავიმეორებ იმ ყალბ ინფორმაციას არა მხოლოდ იმის გამო, რომ ხელი არ შევუწყო მის გავრცელებას, არამედ იმიტომაც, რომ ეს პრობლემა არ ეხება კონკრეტულ საინფორმაციო საშუალებებს. ეს საკმაოდ მგრძნობიარე თემაა, რომელსაც აუცილებლად სჭირდება მკაცრი რეაქცია

როგორც საზოგადოების, ასევე სახელმწიფოს მხრიდან.

სჭირდება, რადგანაც ის გაძლიერებული შეტევა, რასაც საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ ნაცების პროპაგანდისტული მანქანა ახორციელებს, შინაგანად ანგრევს საზოგადოების აღქმას ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მიმართ, უნერგავს სრულ უიმედობას და ცინიზმის ობიექტად აქცევს ჯანსაღ, ნორმალურ და ქვეყნის არა მხოლოდ განვითარებისთვის, არამედ არსებობისთვის აუცილებელ საკითხებს.

გთავაზობთ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერის ირმა ინაშვილის გამოხმაურებას, რომელიც მან სოციალურ ქსელში გაავრცელა:

**„ახალი „სტანდარტია“ ქართულ ჟურნალისტიკაში. ჯერ შენს შესახებ ყალბ ინფორმაციას გაავრცელებენ, მერე სააგენტოები ერთმანეთს აბრალებენ, — პირველწყარო მე არ ვყოფილვარ, სხვა სააგენტო იყოო. ბოლოს, ნაძალადევ ბოდიშს საზოგადოებას კი უხდიან, შენ კი, ვისაც ყალბი ინფორმაცია მოგაწერეს, ბოდიშს არავინ გიხდის, მაგრამ საქმე არაა მხოლოდ ბოდიშის მოხდა- არმოხდაში. დასჯადი უნდა გახდეს ყალბი ინფორმაციის გავრცელება. სხვა შემაკავებელ მექანიზმს ვერ ვხედავ. ადამიანს მიაწერო ის, რაც მას არ უთქვამს, ეს ნიშნავს ჩემი სახელით იონბაზობას.**

**ამ კუთხით სრულიად არაეფექტურია კიბერუსაფრთხოების სამსახურის საქმიანობა. გაუგებარია, ასევე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობის არსი. ვფიქრობ, სასწრაფოდაა მოსამზადებელი საკანონმდებლო პაკეტი და ამის ორგანიზებას ვთავაზობ „ქართულ ოცნებას“, რადგან ოპოზიციის არც ერთი ინიციატივა პარლამენტში დღეს არ გადის“.**

მილიონჯერ მითქვამს — ყველაფერს უნდა დაერქვას თავისი სახელი და ეს წყეული კართაგენი უნდა დაინგრეს! უნდა დაერქვას თავისი სახელი იმ მედიასაშუალებებს, რომელთა სარედაქციო პოლიტიკა სრულადაა აწყობილი ნაცების პროპაგანდისტულ იდეოლოგიაზე, და მათი პარპაში უნდა დაინგრეს.

ხელისუფლებამ, რომელმაც თავის თავზე კარგად იწვნია ცრუ ინფორმაციებისა და ცილისწამების გავრცელება, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადადგას მკვეთრი ნაბიჯები ცილისწამებისა და ცრუ ინფორმაციების გავრცელების საკანონმდებლო დონეზე შესაჩერებლად. უნდა იმკურნალოს პოლიტკორექტულობის იმპოტენციაზე და სახელმწიფოებრივი პასუხი გასცეს იმ მოძალადეებს, რომლებიც, პირველ რიგში, საქართველოს მოსახლეობას ებრძვიან!

**გია გაბრიჭიძე**

## დავით ზალკალიანი ირაკლი კვარაცხელიას სიკვდილს გამოეხმაურა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი გალის რაიონში საქართველოს მოქალაქის გარდაცვალების ფაქტს გამოეხმაურა. მინისტრის განცხადებით ამჟამად ქართული მხარე ინტენსიურად მუშაობს, რათა ყველა მის ხელთ არსებული ინსტრუმენტის გამოყენებით, დროულად დადგინდეს საქართველოს მოქალაქის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ობიექტური გარემოებები.

**„ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ცხელი ხაზის მეშვეობით ჩვენთან შემოვიდა ინფორმაცია, ალმაშფოთებელი ფაქტის შესახებ, რომ საქართველოს მოქალაქემ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ჩვენ გადავდგით ნაბიჯები იმისთვის, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ყოფილიყო ინფორმირებული ამ ფაქტთან დაკავშირებით. გვქონდა საუბარი ევროკავშირის, გაეროსა და ეუთოს სპეციალურ წარმომადგენლებთან, ასევე ჟენევის თანათავმჯდომარეებთან, მუდმივ კავშირზე ვართ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან.“** — ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა გალის რაიონში 29 წლის ქართველი ახალგაზრდის გარდაცვალების ფაქტან დაკავშირებით განაცხადა.

დავით ზალკალიანის თქმით, საქართველოს ყველა საელჩომ მიიღო შესაბამისი ინსტრუქცია, რომ აღნიშნულის შესახებ საქმის კურსში ჩააყენონ პარტნიორი ქვეყნები და გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მოპოვებისთანავე საერთაშორისო თანამეგობრობას ასევე მიეწოდება შესაბამისი ცნობები.

## კვარაცხელიამ დაკითხვის ოთახში ჩამოიხრჩო თავი!

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი დაურ კოვე JAMnews-თან ?საუბარში აცხადებს რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაკავებულმა ირაკლი კვარაცხელიამ დაკითხვის ოთახში მოიკლა თავი.

**„კვარაცხელია რუსმა მესაზღვრეებმა დააკავეს საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის. ეს მოხდა 12 მარტს, 16 საათზე და 55 წუთზე. კვარაცხელია სოფელ ნაბაკევში გადაიყვანეს. ის დატოვეს ოთახში, რათა მას განმარტებითი ბარათი დაეწერა. თუმცა, რამდენიმე ხანში იგი ამ ოთახში ჩამომხრჩვალი იპოვეს. ეს ყველაფერი ერთი საათის განმავლობაში მოხდა“,** — განაცხადა კოვემ.

კითხში უკრაინა სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა. ყირიმის მიმართ (რუსეთმა) თავის დროზე იგივე გააკეთა, რაც სამხრეთ ოსეთში — ცხინვალის რეგიონში. იქაც გამოჩნდნენ „მწვანე კაცუნები“, რომლებიც სინამდვილეში გადაცმულები იყვნენ. ჩვენ მათ წინააღმდეგობა გავუწიეთ, მაგრამ რადგანაც საქართველო პატარა სახელმწიფოა და ჩვენ სტრატეგიული სიღრმე არ გვქონდა, წინააღმდეგობა რომ არ გაგვეწია, ისინი, „მწვანე კაცუნები“, თბილისს აიღებდნენ. 2014 წელს უკრაინა არ იყო ისეთ მდგომარეობაში, რომ მას წინააღმდეგობის გაწევა შეძლებოდა. უფრო მეტიც — არა მხოლოდ უკრაინა არ იყო მზად, არამედ აშშ-ის ადმინისტრაციაც ძალიან აწვებოდა კიევს. მე მაშინ კიევში ვიყავი და მომსწრე ვარ ამ ზეწოლისა — ჯონ კერი რეკავდა ხოლმე და ამბობდა, წინააღმდეგობა არ გაუწიოთო. არადა იყვნენ ადამიანები, რომლებსაც წინააღმდეგობის გაწევა სურდათ და ასე რომ გაკეთებულიყო, ყირიმი შენარჩუნდებოდა. მოკლედ, კიევში ქაოსი იყო და არავის არ უნდოდა პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე. მე მეტსაც გეტყვით: როცა ეს მოვლენები ხდებოდა, მე მქონდა საუბარი პეტრო პოროშენკოსთან ამ თემაზე, ძალიან აღელვებული ვიყავი ყირიმის გამო. ჰოდა, მან ასე მითხრა: „იცი, მიშა, შენ ხომ პრაქტიკულად შეეჩვიე, შეეგუე იდეას, რომ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი საქართველოს არასდროს დაუბრუნდებიან. ზუსტად ასევე ჩვენ უნდა შევეგუოთ იმას, რომ ყირიმი უკრაინის აღარ იქნება. სამაგიეროდ ჩვენ ევროკავშირში და ნატოში გავწევრდებითო. მე მას ვუთხარი: „პეტია (მაშინ ჯერ კიდევ პეტროს ნაცვლად პეტიას ვეძახდი, თანაც ჯერ პრეზიდენტი არ იყო და ერთმანეთს „თქვენობით“ არ მივმართავდით), ჯერ ერთი, ვინ გითხრა, რომ ჩვენი ტერიტორიები საქართველოს ნაწილები აღარ იქნებიან? მათ დავიბრუნებთ და თან ძალიან მალე. ჩვენ, ქართველები, ამისთვის მუდამ ვიბრძვით. მეორე — ვინ გითხრა, რომ თუ ყირიმის დასაბრუნებლად არაფერს გააკეთებთ, ნატოსა და ევროკავშირში მიგიღებენ? პირიქით, ეს ის მიზეზი იქნება, ის ტერიტორიული კონფლიქტი, რის გამოც არ მიგიღებენ. და მესამე — ვინ გითხრა, რომ „რუსეთი“ ყირიმზე გაჩერდება და ეს ყველაფერი დონბასზე არ გავრცელდება? პეტრო მეუბნება, რომ არა, არა, იქ ჩვენ ძლიერი პოზიციები გვაქვს, მსგავსი რამ არ მოხდება და ა.შ.

**— თუ თქვენს შესახებ ოდესმე მხატვრულ ფილმს გადაიღებენ, როგორ სახელს უწოდებთ?**

— ჩემს შესახებ უკვე რამდენიმე ფილმია გადაღებული, მაგალითად, იულია ტიმოშენკოსთან ერთად... ამერიკელებმა გადაიღეს ჰოლივუდური ბლოკბასტერი, სადაც ჩემს როლს მსახიობი ენდი გარსია ასრულებს... შემდეგ კიდევ ერთი ფილმი უნდა გადაეღოთ ნიკოლას ქეიჯის შესრულებით, მაგრამ ბოლო მომენტში მან უარი თქვა — იმიტომ, რომ იმ ფილმში სრულიად გიჟი უნდა ვყოფილიყავი, და ნიკოლას ქეიჯს ეს არ მოეწონა. მოკლედ, ფილმები ბევრია, მაგრამ არ აქვს მნიშვნელობა, როგორს გადაიღებენ და საერთოდ, როგორ ჩაიწერება ისტორიაში. მე მაინც ვერც წავიკითხავ და ვერც ვნახავ. ჩემთვის მთავარია, რომ დღეს ვნახო შედეგები. აი, სწორედ ესაა ცხოვრების არსი — მუდმივი მოძრაობა, არსებობისთვის ბრძოლა და ის, რომ ჩვენ სწორად გამოვიყენოთ ჩვენი დრო?“.

საუბრის დასასრულს მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ იგი გეგმავს პირველ აპრილს უკრაინაში ჩავიდეს და ამისათვის უკვე თვითმფრინავის სამგზავრო ბილეთიც აქვს ნაყიდი (აჩვენებს მობილური ტელეფონით): „მე ვემზადები ბორისპოლის აეროპორტში ჩამოსაფრენად. ბილეთი უკვე აღებული მაქვს — იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ: პეტრო პოროშენკო მეორე ტურში ვერ გავა. და როგორც კი ეს მოხდება, მე მჯერა, რომ არც ერთი უკრაინელი მესაზღვრე აღარ მოისურვებს მისი ბრძანების შესრულებას უკრაინაში ჩემი შეშვების აკრძალვაზე“.

**„ნიუპრესი“**

# ხალხის კეთილდღეობა – სახელმწიფოს მთავარი საზრუნავი

ყაზახეთში პრეზიდენტმა ნაზარბაევმა მთავრობა შეცვალა, ვინაიდან ქვეყანაში მომწიფდა მოდერნიზაციისა და რეფორმების გაღრმავების აუცილებლობა, რომელიც ითხოვს ახალ ძალებსა და მიდგომებს. მთავრობამ, ისევე, როგორც საკანონმდებლო ხელისუფლებამ და თავად ყაზახეთის ხალხმა, დადებითად აღიქვეს პრეზიდენტის გადაწყვეტილება, როგორც ერთადერთი სწორი შესაძლებელი ვარიანტი.

პოსტსაბჭოთა სივრცის მაგალითზე, ყოველი გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოს ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც წარმატებით იქნა განვლილი განვითარების გარკვეული ეტაპი და, სწრაფი წინსვლისა თუ ნახტომის შემდეგ ხდება განვითარების შენელება. სწორედ ამ ეტაპზე არ შეიძლება დაყოვნება და უნდა შეირჩეს მომენტი, როდესაც განხორციელდება საკადრო ცვლილებები, რათა პროგრესი არ შეჩერდეს. პრეზიდენტმა ნაზარბაევმა შესანიშნავად იგრძნო ამ მომენტის დადგომა და დროულად მიიღო ნებითი პოლიტიკური გადაწყვეტილება. ახლა ქვეყანას ეყოლება ახალი მთავრობა, პრეზიდენტის წინადადებით, მმართველმა პარტიამ „ნურ ოტანმა“ მიიღო 2030 წლამდე გათვლილი სამოქმედო პროგრამა (რომელსაც ჰქვია „კეთილდღეობის საზოგადოება: ათწლეულის 10 მიზანი“), დასახელდა მთავრობის ახალი პრემიერ-მინისტრი ასკარ მამინი.

მაგრამ ვნახოთ თავად პრეზიდენტის გამოსვლა, პარტია „ნურ ოტანის“ მე-18 ყრილობაზე, რომლის ფარგლებშიც მან ჩამოთვალა პარტიისა და მთავრობის მიერ განსახორციელებელი კონკრეტული ღონისძიებები. მაშ ასე, ამონარიდები ნურსულთან ნაზარბაევის გამოსვლიდან:

**„ჩვენი მთავარი პრიორიტეტია, უზრუნველვყოთ მოქალაქეების ცხოვრების დონე და ყაზახეთის, როგორც სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოს განვითარება. თვით დროის სხვადასხვა, ყველაზე რთულ პერიოდშიც ჩვენ ვასრულებდით აღებულ სოციალურ ვალდებულებებს. სოციალური ხარჯები ყოველთვის მაღალი იყო და ეს ხარჯები მომავალშიც თანამიმდევრულად გაიზრდება.**

**ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვცხოვრობთ დიდი გამოწვევებისა და გლობალური გაურკვევლობის პირობებში. ჩვენს მიერ დაგროვილი რეზერვები შეიძლება, გამოგვადგეს უფრო რთულ დროს. სოციალური პოლიტიკა უნდა იყოს დაბალანსებული და მან არ უნდა მოახდინოს მუქთა შემოსავლების მოლოდინი. სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა, ხალხს მისცეს სამუშაო, რათა მათ თავად გამოიმუშაონ ცხოვრებისთვის საჭირო თანხები. დახმარება უნდა დაეინშნოთ განსაკუთრებით ხელმოკლეებს და იგი უფრო კონკრეტულ ხასიათს უნდა ატარებდეს. პირადად გავაკონტროლებ, რომ ყოველი გამოყოფილი თანხა მივიდეს თითოეულ ოჯახამდე და თითოეულ ადამიანამდე! ჩემი დავალებით პარტიამ ჩაატარა პრობლემათა ანალიზი, რომლებიც განსაკუთრებით აღელვებს ჩვენს მოქალაქეებს. მათ რიცხვშია ბავშვთა დახმარების მომატება, მრავალშვილიანი ოჯახების მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი უზრუნველყოფა საცხოვრებელი ფართით, სოციალური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და სხვ. ამ საკითხების მოგვარებაში პარტიის მიერ შეტანილი წვლილი იქნება სოციალური პოლიტიკის რეალიზება სამი მიმართულებით. ესენია: შემოსავლების მატება და მოსახლეობის მცირეშემოსავლიანი ფენების დახმარება; დაბალშემოსავლიანი მოქალაქეების საცხოვრებელი საკითხების გადაწყვეტა, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროების ოპტიმიზაცია; რეგიონების კომპლექსური განვითარება.**

**პირველი.** აუცილებელია, გაძლიერდეს ღონისძიებები ყაზახელი ოჯახების კეთილდღეობის ასამაღლებლად. ეს ღონისძიებები პირდაპირ მოიცავს 1 მილიონზე მეტ სახელმწიფო მოხელეს, დასაქმებულთ ჯანდაცვის, განათლების, სოციალური დაცვის, კულტურის, სპორტის, სოფლის მეურნეობის და სხვა სფეროებში. ვიძლევი დავალებას, 2019 წლის 1 ივლისიდან: ამაღლდეს საბიუჯეტო სფეროს დაბალანაზღაურებადი მუშაკებისათვის ხელფასები 30 პროცენტით; საშუალოდ 25 პროცენტით გაიზარდოს აღმასრულებელი ორგანოების დაბალი რგოლის თანამშრომლების ხელფასები, რომლებიც მოქალაქეებთან მუშაობენ რაიონულ და საოლქო დონეებზე. ამ მიზნებისთვის 2019-2021 წლებში დამატებით გამოყოფილ იქნას 980 მილიარდი ტენგე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაბალშემოსავლიან მოქალაქეებს და მრავალშვილიან ოჯახებს. თითოეულმა ყაზახურმა ოჯახმა უნდა იგრძნოს გატარებული რეფორმების შედეგები დღესვე, და არა ოდესღაც მომავალში. ყველაზე უფრო გადაუდებლად მიმაჩნია, გაძლიერდეს ღონისძიებები მრავალშვილიანი ოჯახების მხარდასაჭერად.**

**ვავალებ მთავრობას, დაბალშემოსავლიანი ოჯახების მოცულობის მიზნით, განსაკუთრებით კი მრავალშვილიანი კატეგორიის ოჯახებისთვის, მოხდეს კონკრეტული დახმარებების კრიტერიუმის აწევა საარსებო მინიმუმის 70 პროცენტამდე (14849 ტენგედან, ანუ დაახლოებით 40 დოლარიდან 20789 ტენგემდე, ანუ დაახლოებით 55 დოლარამდე, გარკვეული კატეგორიებისათვის კი 29698 ტენგემდე-78 დოლარი). იმ ბავშვიანი ოჯახებისათვის, რომლებსაც ეკუთვნით მიზანმიმართული სოციალური დახმარება, თითო ბავშვზე მინიმალური დახმარება, მრავალშვილიან ოჯახში, განისაზღვროს 20789 ტენგეს (55 დოლარი) ოდენობით. სოციალური დახმარების ყველა პროცედურა მაქსიმალურად უნდა გამარტივდეს და გადატანილ იქნას პროაქტიურ ფორმატში.**

**მიზანმიმართული, კონკრეტული სოციალური დახმარებით 2019 წელს მოცული იქნება 830 ათას ადამიანზე მეტი, მათ შორის, 550 ათასი ბავშვი. ასევე ვიძლევი დავალებას, მშობლებისთვის, თავმდებებისათვის და ოჯახებისათვის (პირებისთვის), რომლებიც ზრდიან ინვალიდ ბავშვებს, დახმარება გაიზარდოს 30 პროცენტით. ეს შეეხება 100 ათას ადამიანზე მეტს. ამ ღონისძიებების რეალიზებისთვის ვიძლევი დავალებას, 2019-2021 წლებში დამატებით გამოიყოს 300 მილიარდი ტენგე. სოციალური დახმარების ძირითად პრინციპად რჩება სოციალური კონტრაქტი და ოჯახის შრომისუნარიანი წევრების სავალდებულო მონაწილეობა დასაქმების ღონისძიებებში. აკიმებს ვავალებ, მივიდნენ თითოეულ ოჯახამდე და გააძლიერონ დახმარების ღონისძიებები ადგილობრივი ბიუჯეტიდან, რეგიონის შესაძლებლობების გათვალისწინებით. გასულ წელს ამგვარ დახმარებებზე ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დაიხარჯა 135 მილიარდ ტენგეზე მეტი. აუცილებელია ამგვარი დახმარების გაგრძელება. არ შეიძლება, ფული დაიხარჯოს მეორეხარისხოვან საქმეებზე.**

**მეორე.** აუცილებელია, მოხდეს საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისთვის მუშაობის გაგრძელება, ისევე, როგორც განათლების და ჯანდაცვის სფეროების გაუმჯობესება. ვავალებ მთავრობას, ააშენოს 40 ათას საიჯარო ბინაზე მეტი, ძირითადად, ნაკლებშემოსავლიანი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის. ამ მიზნებზე უახლოესი 7 წლის მანძილზე უნდა გამოიყოს წელიწადში დამატებით კიდევ 50 მილიარდი ტენგე (131 მილიონი დოლარი). ასევე უნდა ამაღლდეს ბინების შესყიდვის შესაძლებლობა მრავალშვილიანი და არასრული ოჯახებისთვის, ინვალიდი შვილების მყოლი ოჯახებისთვის, რომელთაც დაბალი შემოსავლები აქვთ. მოქალაქეების ამ კატეგორიისათვის ვიძლევი დავალებას, შემუშავდეს საბინაო კრედიტების შეღავათიანი მექანიზმი, წლიური 2-3 პროცენტით, საბინაო სისტემის დანაზოგების გამოყენებით.**

**საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხარჯები და პირველადი სამედიცინო-სანიტარიული დახმარება უნდა გაიზარდოს 40-იდან 60 პროცენტამდე, ჯანდაცვის დაფინანსების საერთო მოცულობიდან. ეს არის ყველა განვითარებული ქვეყნის პრაქტიკა. ვიძლევი დავალებას, ჯანდაცვის სფეროს განვითარებისთვის დამატებით გამოიყოს 120 მილიარდი ტენგე. შესაბამისად, ამაღლდება სტაციონარული სამედიცინო დახმარების ხარისხი და ხელმისაწვდომობა ქვეყნის 7 რეგიონში და წლიურად 100 ათას პაციენტს მოიცავს.**

**მესამე.** აუცილებელია, დავიწყოთ რეგიონული პოლიტიკის რეალიზება, რომელიც მიმართული იქნება მთელ ქვეყანაში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისაკენ. ჩვენ უნდა ჩამოვაყალიბოთ ქვეყნის ახალი რუკა, რომელიც დამყარებული იქნება ცხოვრების დონის განახლებულ სტანდარტებზე. ბოლო წლებში განხორციელდა უზარმაზარი მასშტაბის და ისტორიული მნიშვნელობის სამუშაოები რესპუბლიკური ავტოსატრანსპორტო ქსელის ასაშენებლად. მთლიანობაში ჩვენ ავაშენეთ და რეკონსტრუქცია ჩავუტარეთ 12,5 ათას კმ სიგრძის საავტომობილო გზებს და 2,5 ათას კმ სიგრძის რკინიგზას, ასევე საზღვაო პორტებს.**

**მთლიანობაში, კიდევ ერთხელ მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო: ეკონომიკური განვითარება მიმართული უნდა იყოს მოსახლეობის რეალური კეთილდღეობის ზრდაზე. „ნურ ოტანმა“, მეწარმეთა პალატასთან ერთად, უნდა შეიმუშავოს ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის გაუმჯობესების პრინციპები. საჭიროა, გაგრძელდეს მიზანმიმართული მუშაობა კორუფციის აღმოსაფხვრელად. განსაკუთრებული ყურადღების ფოკუსშია ახალგაზრდობა, მომავალი ხომ მას ეკუთვნის! მიმდინარე წელი მე გამოვაცხადე ახალგაზრდობის წელიწადად. პარტიამ უნდა მიაღწიოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტურობას. პარტია უნდა იქცეს აქტიური მოქალაქეების ერთ-ერთ უმთავრეს „სოციალურ ლიფტად“ და კადრების წყაროდ, ყველა დონეზე სახელმწიფო მმართველობის სისტემისთვის. თანამედროვე მმართველების ახალი გენერაცია უნდა წარმოიშვას „პარტიის ახალგაზრდული რეზერვიდან“. პარტიის ყველა წევრი ნამდვილი პატრიოტი უნდა იყოს და უმწიკვლო რეპუტაცია ჰქონდეს.**

> **თუკი პრეზიდენტის მიმართვას შევაფასებთ, მთლიანობაში იგი ითხოვს სახელმწიფო აპარატის უფრო ეფექტურ მუშაობას. ყველაფრის თავში დგას ქვეყნის მოქალაქე, ადამიანი, როგორც ასეთი. მის გარეშე სახელმწიფო აზრს კარგავს. კეთილდღეობაში მცხოვრები ადამიანი წარმოადგენს აყვავებული სახელმწიფოს საფუძველს... პრეზიდენტს სამართლიანად მიაჩნია, რომ ქვეყანაში მიღწეულია განვითარების ისეთი დონე, რომ სოციალური პრობლემები საერთოდ აღარ უნდა არსებობდეს. ამ მონაპოვრის გაფუჭების საშუალებას იგი არავის მისცემს!**

**რევაზ გიორხელიძე**

## შვეიცარიის განვითარების სააგენტო საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დონორია

**გარემოს** დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (**SDC**) გენერალური დირექტორის თანაშემწეს, აღმოსავლეთ ევროპასთან თანამშრომლობის განყოფილების უფროსს რუთ ჰუბერს შეხვდა.

შეხვედრაზე ლევან დავითაშვილმა საქართველოში აგრარული დარგის პოტენციალზე და იმ ღონისძიებებზე ისაუბრა, რომელიც სახელმწიფოსა და დონორი ორგანიზაციების, მათ შორის, შვეიცარიის განვითრებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (**SDC**) მხარდაჭერით ხორციელდება.

„შვეიცარიის განვითარების სააგენტო საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დონორია. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ სააგენტო განსაკუთრებით აქტიურად მუშაობს სოფლის მეურნეობის და გარემოსდაცვითი მიმართულებით. ჩვენ ბევრი ძალიან წარმატებული ერთობლივი პროგრამა გვაქვს განხორციელებული. დღეს ვისაუბრეთ იმ გეგმებზე, რომლებსაც სამინისტრო და შვეიცარიის განვითარების სააგენტო საქართველოში განახორციელებს. პირველ რიგში ეს უკავშირდება მეცხოველეობის სექტორის წახალისებას, მათ შორის, ცხოველთა იდენტიფიკაცია/რეგისტრაციას, სხვა მხარდამჭერ პროექტებს, რომელიც ქვეყანას სოფლის განვითარებაში დაეხმარება“, — აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

მინისტრმა მადლობა გადაუხადა შვეიცარიის მხარეს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორ ქვეყანას მრავალწლიანი წარმატებული თანამშრომლობა აკავშირებს.



# აუცილებელია

## ლია წერილი მთელ სამეგრელოს...

# ახალი რუის-ურბნისი!

**მე, მამით „სენაკიშე“ მხეიძე (ხეცია), დედით კოკაია, მარტვილის დიდი ჭყონიდან, ჩვენი სამშობლოსთვის ამ საბედისწერო ჟამს, დიდის მოკრძალებითა და მოწიწებით ვბედავ, მოგმართოთ თქვენ, „საქართველოს ხერხემლად“ წოდებული სამეგრელოს შვილებს, ჩემს სისხლსა და ხორცს!**

თქვენ იმ ქართველთა შთამომავლები ხართ, რომელთა მამა-პაპანი, როგორც წესი. იქ და იმ დროს იდგნენ, სადაც ქართველური ტომების საერთო სამშობლოს საქართველოს უჭირდა!

**ჯერ მარტო ეგრისის ერისთავ ქუჯის რაინდული, კეთილშობილური საქციელი რად ღირს, რომელმაც გენეტიკური წარმოშობით მასზე არაფრით მეტს (ორივე ლეგენდარული ქართლოსის შთამომავლები იყვნენ), ქართლელ ფარნავაზს, სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ქედი მოუხარა და სრულიად საქართველოს პირველ ხელმწიფედ მეფე ფარნავაზი აღიარა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ფარნავაზის გამეფებით დაიწყო საქართველოს 3-ათასწლოვანი სახელმწიფოებრიობის ისტორიის ათვლა, რაშიც ფარნავაზზე არანაკლები წვლილი მეგრელ ქუჯი ერისთავსაც მიუძღვის.**

აღარაფერს ვამბობ ცოტნე დადიანის იგავმიუწვდომელ გმირობაზე, რომლის ანალოგი მსოფლიო ისტორიამ არ იცის.

ზემოთ, „საბედისწერო ჟამს“-მეთქი, ის მქონდა მხედველობაში, რომ დღეს არა თუ საქართველოს სახელმწიფოებრიობას ემუქრება საფრთხე, არამედ თვით ქართველი ერის ყოფნა-არ ყოფნას დაესვა კითხვის ნიშანი — ქართველთა ტოტალური გადაჯიშების მცდელობას ვგულისხმობ, თორემ, ქართული გვარი დღესაც ბევრსა აქვს, მაგრამ შინაარსობრივად (თუ ასე თქმა შეიძლება) ქართველთა რიცხვი დღითი დღე მცირდება!

**ეს „დღითიდღეობა“ რომ შეუქცევადი გახდეს, ამისთვის მიმდინარეობს ორკესტრირებული შეტევა ქართული ღირებულებების ერთადერთ დამცველ, ლიბერასტების მიერ ჯერჯერობით დაუძლეველ ბასტიონ დედაეკლესიაზე და პირადად მის საჭეთმპყრობელ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეზე!**

ეს რომ ასეა, დასტურად, საქართველოს პირველ პრეზიდენტს, ცხონებულ ზვიად გამსახურდიას მოვუხმობ:

დევნილობაში მყოფმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ 1993 წელს მისწერა ბატონ გიორგი ანდრიაძეს, იმჟამად „სტუს“ გაზეთ „სამანის“ რედაქტორს ვრცელი წერილი, რომლიდანაც მცირე ამონარიდს გთავაზობთ — **„დღესაც მტერმა, პირველ რიგში, ჩვენს ეკლესიას დაუმიზნა, შემოგზავნა სამღვდელოების რიგებში მართლმადიდებლობის მტრები, ცხვრის ქურქში გახვეული მგლები, რომელთაც დააკნინეს და თითქმის გაანადგურეს მართლმადიდებლური რწმენა. მტრის სადაზვერვო სამსახურების აგენტების ადგილი ეკლესიაში არ არის. ჩვენი ეკლესია უნდა განიწმინდოს მათგან, რათა ერი არ დაიღუპოს. აუცილებელია ახალი რუის-ურბნისი“...**

ნაცნობი სურათია არა? თითქოს დღევანდელობაზე საუბრობსო საქართველოს პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი, ეროვნული ცნობიერების პრეზიდენტი...

**სამღვდელოებაში სხვადასხვა დროს შეგზავნილმა „მტრის სადაზვერვო სამსახურის“ აგენტებმა მხოლოდ პატრონები შეიცვალეს თორემ თავად არ შეცვლილან — ადრე თუ ათეისტი ჩეკისტების სასარგებლოდ მუშაობდნენ, ახლა სატანისტ „ცერეუშნიკებს“, სინოდის წევრთა არცთუ უმნიშვნელო რაოდენობას უკმევენ!..**

კიდევ ერთი მცირე ისტორიული ექსკურსი, განსჯისთვის...

ფარნავაზისა და ქუჯის შესახებ უკვე ვთქვი და ახლა საქართველოს ე.წ. ოქროს ხანის დასაწყისის შესახებ, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება წინამდებარე წერილის მთავარ სათქმელს, რომელსაც ქვემოთ მოგახსენებთ:

საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი გვირგვინოსანი დავით IV (აღმაშენებელი), როგორც ჩანს სამეგრელოშია აღზრდილ-გაზრდილი. ყოველ შემთხვევაში მცირეწლოვანი უფლისწული დავითი რომ მეგრელი კაცის გიორგი ჭყონდიდელის აღზრდილია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ბაგრატოვანთა სამეფო ტახტზე 16 წლის ასაკში ასულმა მეფე დავითმა, საკუთარ აღმზრდელ სასულიერო პირს, მეუფე გიორგი ჭყონდიდელს, მწიგნობარ-თუხუცესობაც (დღევანდელი მნიშვნელობით, პრემიერ-მინისტრი) უბოძა, რითიც საეკლესიოსთან ერთად, საერო, აღმასრულებელი ხელისუფლებაც ერთგულ მასწავლებელს ჩააბარა.

**მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა ის, რის აუცილებლობაზეც ზემოთ ბატონი ზვიად გამსახურდია „ვასაუბრეთ“ — მეფის და ჭყონდიდელის ერთობლივი ძალისხმევით 1103 წელს მოწვეულ იქნა რუის-ურბნისის დიდი საეკლესიო კრება, რომელმაც ეკლესიის წიაღიდან განკვეთა მრავალრიცხოვანი უღირსი მღვდელმთავარი, გნებავთ, მაშინდელი „მეუფე ყანდურნი“.**

სხვა მრავალ სიკეთეთა გარდა, რუის-ურბნისი გარკვეულწილად ზნეობრივი აქტიც იყო, რამაც უბრალო მოსახლეობაში ღვთის მოშიშობა, ღვთისადმი სიყვარული, სამართლიანობის განცდა გააძლიერა.

**ამ ყველაფერმა ერთად 1104 წელს ერწუხის ბრძოლაში თურქ-სელჯუკებზე პირველი სერიოზული გამარჯვებიდან, სათავე დაედო ქართველთა ძლევამოსილი ბრძოლების სერიას, რომელმაც ტრაპიზონიდან დარუბანდამდე კავკასიის ქართული იმპერიის შექმნა განაპირობა.**

და აი, როგორც იქნა, მივადექით უმთავრეს სათქმელს, რომელიც გახდა კიდეც მიზეზ-საბაბი წინამდებარე წერილის შექმნისა...

აქამდე თუ სამეგრელოს მხოლოდ დამსახურებებზე ვსაუბრობდით დედასაქართველოს წინაშე, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს საქართველოს ამ ულამაზესი რეგიონის სხვა „დამსახურებებიც“, რომელთაც თვალი უნდა გავუსწოროთ: 2003 წელს წალენჯიხიდან დაიწყო ცნობილი ავტო-მარში თბილისის მიმართულებით, რომელმაც მთელი საქართველო აიყოლია და შევარდნაძის სიძულვილით დაბრმავებულმა ქართველებმა ქართველთ მოძულე ნაცები მოვიყვანეთ ხელისუფლებაში, ხოლო შიზოიდი, ქარიყლაპია სააკაშვილი გავაპრეზიდენტეთ, რომელმაც მოკლე ხანში შევარდნაძე სანატრელი გაგვიხადა.

**სამეგრელოს უღირსი შვილები არიან სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის მთავარი აქტორები, როლანდ ახალაია და მისი სადისტი შვილები — ძმები ახალაიები, მეგის ქარდავა და ა.შ. ყველას რა ჩამოთვლის, რომლებმაც 9 წლის მანძილზე უმოწყალოდ ხოცეს, საკუთარ სისხლსა და ცრემლში აბანავეს ლამის სრულიად საქართველო და მათ შორის არც მეგრელები დაინდეს: სამეგრელოს ტყეებში ნაპოვნი „საშინელებათა ფილმებია“ ნათქვამის დასტური. დღესაც კი ჩამესმის „სკოჩებით“ დაბმული, გაუპატიურებული მეგრელი ვაჟკაცის განწირული კივილი. დიახ, კივილი, კაცის უმწეო საშინელი კივილი, რასთან შედარებითაც ქალის კივილი იავნანა ყოფილა!..**

ისტორიას ხშირად ახასიათებს ცინიკური პარადოქსები, უცნაური პარალელები, ირონია და ათასი უბედურება...

სადაც ორკესტრი ვახსენეთ იქ დირიჟორიც არის, სახელად აშშ, ხოლო ორკესტრის მთავარი „მუზიკანტები“ ფოთიხობის მიტროპოლიტი მეუფე გრიგოლი (გურამ ბერბიჭაშვილი) და ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტი მეუფე პეტრე (ცაავა) ბრძანდებიან.

ჰოდა, მაშ ცინიკური პარადოქსი არ არის, რომ ჩვენმა დიდებულმა წინაპარმა გიორგი ჭყონდიდელმა 1000 წლის წინ ქართული სახელმწიფოს შენებას დაუდო სათავე, ხოლო მეორე ჭყონდიდელმა, „რუსთავი-2“-ის შტატიანმა რესპონდენტმა მეუფე პეტრემ პირველმა მიიტანა იერიში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე ყოველგვარი ქართულისა და ეროვნულის განმქიქებელი ტელევიზიის პირდაპირ ეთერში — „ჩემთვის დამთავრდა მითი პატრიარქის მწყემსი კეთილობის შესახებ“ — ასეთი შემზარავი მკრეხელობის თქმაც გაბედა მეუფე პეტრედ წოდებულმა სატანამ!

**მაშ ისტორიული ირონია არ არის, რომ გასული საუკუნის დასაწყისში გიგლა ბერბიჭაშვილმა დიდ ილია ჭავჭავაძეს ბერდანის ტყვიით მოუსწრაფა სიცოცხლე, ხოლო XXI საუკუნის დასაწყისში ისევ ბერბიჭაშვილი, ბედის ირონიით ამჯერად ფოთიხობის მიტროპოლიტად აღზევებული მეუფე გრიგოლი უთხრის სამარეს ილია მეორეს, გნებავთ, მეორე ილიას?!**

მთავარი ცინიკური პარადოქსი კი ის არის, რომ გიორგი ჭყონდიდელმა დავით აღმაშენებელთან ერთად საქართველოს აღმშენებლობა საუკუნეების წინ სწორედ სამეგრელოდან დაიწყო და 1000 წლის შემდეგ პეტრე ჭყონდიდელმა მეუფე გრიგოლთან ტანდემში საქართველოს ნგრევის პროცესიც სამეგრელოდან დაიწყო. დიახ, ნგრევა, რადგანაც დღეს უწმინდესისა და უნეტარესის „წაქცევა“ საქართველოს „წაქცევის“ ტოლფასია!

მჯერა, სამეგრელო ახლაც იქ იქნება, სადაც დედასამშობლოს უჭირს და თუ საჭირო გახდება (და ალბათ გახდება) წვერებით გამოათრევს მეუფე ყანდურებს ფოთისა და მარტვილის ეპარქიების ფეშენებელური რეზიდენციებიდან!

**დირიჟორი აშშ; „პროდიუსერები“ ევროკავშირი და ევროპული კომისია; ადგილობრივი აქტორები მეუფე ყანდურნი, ე.წ. მესამე არასამთავრობო სექტორი; სახალხო დამცველი; ქოც-ნაცების ლიბერასტი ხელისუფლება-ოპოზიცია. აი, თითქმის სრული შემადგენლობა ეკლესიაზე, პატრიარქზე ერთიანი შეტევის მონაწილე ორგანიზაციებისა თუ სუბიექტებისა.**

პატრიარქის დასაცავად, როგორც ჩანს, მეტად სერიოზულ, აგრესიულ ნეოლიბერალურ ძალებთან მოგვიწევს ჭიდილი. ძალებთან, რომლებიც ფინანსების ნაკლებობას არ უჩივიან. მაგრამ ეგ არაფერი, როგორც დიდმა სტალინმა თქვა სამამულო ომის დაწყებისას — ჩვენი ბრძოლა სამართლიანია, მტერი განადგურდება, გამარჯვება ჩვენი იქნება!

**დღესაც ომში ვართ, მართალია ჯერჯერობით უსისხლო, მაგრამ მაინც სამამულო ომში, რადგანაც ქართველი ერი ფიზიკურად გადარჩენისთვის და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის იბრძვის! რაშიც, ამ 2 საუკუნის წინათ უკვე დაგვეხმარა ერთმორწმუნე რუსეთი, რომელმაც ისლამურ ოკეანეში გასაქრობად განწირული ქართველი ერი ფიზიკური განადგურებისა და მენტალური გადაჯიშებისგან გვიხსნა!**

ახლაც თითქმის იგივე საშიშროების წინაშე ვდგავართ. თითქმის, რადგანაც ამჟამად გლობალიზაციის ოკეანეში ვიხრჩობით, მშველელი კი თუ იქნება, ისევ ერთმორწმუნე რუსეთი, მაგრამ არა ჩვენს ქვეყანაში აღვირახსნილი რუსოფობიის კულტივაციის პირობებში, რასაც დასასრული არ უჩანს...

**ამიტომ, მხოლოდ უფლის იმედად ვამთავრებ წინამდებარე წერილს — ჩვენთან, მარიამის წილხვედრ საქართველოსთან არს ღმერთი და ამიტომ ჩვენ გავიმარჯვებთ და ამ გამარჯვებაში ლომის წილს, „ჩქიმი სამარგალო“ დაიდებს!**



**დავით მხეიძე**

## P. S.

**ზემოთ ორკესტრირებული შეტევის ერთ-ერთი მთავარი სუბიექტი, ევროკომისია ვახსენე, რომელმაც ჩვენს სათაყვანებელ პატრიარქს ე.წ. სიძულვილის ენით საუბარში დასდო ბრალი იმის გულისთვის, რომ პატრიარქმა თავის დროზე ლგბტ ღონისძიებებს საქართველოს სირცხვილი უწოდა, ხოლო მამათმავლობას — ავადმყოფობა!**

**აქედან გამომდინარე მივმართავ პოზიცია-ოპოზიციის ფარისეველ პოლიტიკოსებს, რომლებიც რელიგიური დღესასწაულების ჟამს ანთებული კელაპტრებით გამწკრივდებიან ხოლმე სამების ტაძარში, სადაც მუხლმოდრეკით ეთაყვანებიან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს...**

**ევროპული კომისიის მიერ ჩვენი პატრიარქის შეურაცხყოფა (რაც ქართველი ერის შეურაცხყოფაც არის) რატომ არ გააპროტესტეთ ერთობლივი განცხადებით თუ აგრერიგად გიყვართ და ეთაყვანებით მის უწმინდესობას?**

**ვფიქრობ, კითხვა რიტორიკულია, ანუ პასუხი თავისთავად იგულისხმება — იმიტომ, რომ თქვენც ლიბერასტი აფერისტები ხართ!!!**

**დ. მ.**

# ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲣᲥᲐᲠᲐᲡ ᲜᲐᲢᲝᲡ ᲬᲕᲠᲗᲜᲔᲑᲘᲗ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ

**18 მარტს ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში (JTEC) „ნატო-საქართველოს სწავლება 2019“ გაიხსნება. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ცნობით, ეს ბრიგადის დონის პირველი ერთობლივი მრავალეროვნული სამეთაურო-საშტაბო სწავლებაა, რომელსაც საქართველოს თავდაცვის ძალები უხელმძღვანელებენ.**

წვრთნები მიზნად ისახავს საქართველოს, ალიანსისა და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებული ძალების ურთიერთთავსებადობის ამაღლებასა და საქართველოს თავდაცვის ძალების მართვისა და კონტროლის შესაძლებლობების გაძლიერებას. ამასთანავე, სწავლება, გამოცდის ალიანსის „Non Article 5“ კრიზისებზე რეაგირების ყოვლისმომცველ მიდგომას. „Non Article 5“ გულისხმობს NATO-ს წევრი ქვეყნების სამხედრო და სხვადასხვა სამოქალაქო ორგანიზაციების კოოპერაციას არაწევრი ქვეყნის სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციებთან.

ანალიტიკოსი ზურაბ ბატიაშვილი განმარტავს, რომ არის მთელი რიგი კრიზისებისა, მაგალითად, ჰუმანიტარული სახის, რომელიც ნატოს მხრიდან რეაგირებას საჭიროებს, მაგრამ ის შესაძლოა, არ ხვდებოდეს ნატოს ცნობილ მეხუთე მუხლში და დაანონსებული წვრთნის მიზანიც მსგავსი სახის კრიზისებისთვის მომზადებაა. პროცესში ჩართულნი იქნებიან საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რაც ხელს შეუწყობს სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის გაღრმავებას.

სწავლების ფარგლებში საქართველოს ეწვევა ნატო-ს გენერალური მდივანი **იენს სტოლტენბერგი,** რომელიც 25 მარტს JTEC-ს მოინახულებს. 28 მარტს კი გაიმართება საჩვენებელი დღე მაღალი დონის სტუმრებისა და მედიის წარმომადგენლებისათვის, ასევე პრეს-კონფერენცია.

ეს ნატო-საქართველოს რიგით მეორე სწავლებაა, რომელიც ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში (SNGP) ტარდება. პირველი ერთობლივი სწავლება 2016 წელს გაიმართა.

პირველად „ნატო-საქართველოს სწავლება 2019“-ის დაგეგმვისა და აღსრულების პროცესს უხელმძღვანელებს საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბი JTEC-თან ერთად. ქართულ მხარეს სწავლების დაგეგმვისა და აღსრულების პროცესში მენტორობას უწევს ნატოს ტრანსფორმაციის სარდლობა (ACT), ნატოს სახმელეთო ჯარების სარდლობა (LANDCOM) და გაერთიანებული წვრთნების ცენტრი (JFTC).

თუ 2016 წლის სწავლებაში 14 ქვეყანა მონაწილეობდა, წლევანდელ სწავლებაში მონაწილეობას მიიღებს 24: **ალბანეთი, ბელგია, ბულგარეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, გერმანია, დანია, ესტონეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, გაერთიანებული სამეფო, უნგრეთი, ლატვია, ლიეტუვა, ჰოლანდია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი, თურქეთი, აშშ, აზერბაიჯანი, საქართველო, შვედეთი.** სწავლებაში ასევე აქტიურად არიან ჩართული საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები: **„წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი“ (ICRC), გაეროს სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტი (DPKO) და გაეროს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO, დამკვირვებელი).**

რუსეთმა ნატო-საქართველოს წვრთნებთან დაკავშირებით საკუთარი უკმაყოფილება უკვე გამოხატა, თანაც ამჯერად მუქარის ფორმით. ერთმანეთის მიყოლებით განცხადებები თავდაცვის მინისტრმა **სერგეი შოიგუმ** და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ **გრიგორი კარასინმა** გააკეთეს.

თუმცა ანალიტიკოს ზურაბ ბატიაშვილის შეფასებით, კრემლის უკმაყოფილება არ არის საკმარისი არგუმენტი საიმისოდ, რომ საქართველომ ნატოსთან დაახლოების პროცესი შეწყვიტოს. მისივე აზრით, საქართველოს ეროვნული ინტერესებისთვის ნატოს ალტერნატივა არ აქვს: მუხლების კანკალით საგარეო პოლიტიკას ვერ წარვმართავთ. კრემლის შიშით სუნთქვის შეწყვეტა გონივრული გადაწყვეტილება ვერ იქნება. კრემლში რაც არ უნდა აპროტესტონ, ჩვენი სუვერენული უფლებაა, გავწევრდეთ ისეთ გაერთიანებებში, რომელიც ყველაზე უკეთ შეესაბამება ჩვენს ეროვნულ ინტერესებს. ასეთი კი ჩრდილოატლანტიკური ალიანსია და მისი ალტერნატივა არ არსებობს“ — განაცხადა ექსპერტმა. მისივე აზრით, საქართველოსთვის მთავარი ნატოსთან თავსებადობაა, რაც პრაქტიკულ დონეზე წვრთნებით მიიღწევა: „მსგავსი წვრთნები მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ არა მხოლოდ პრაქტიკულ დონეზე ვიცოდეთ, თუ რას ნიშნავს ნატოს ქმედებები, არამედ უშუალოდ ვიყოთ მისი მონაწილენი. მართალია, საერთაშორისო ვითარება ისეთია, რომ ამჟამად ვერ ხერხდება საქართველოს ნატოში გაწევრება. მაგრამ როდესაც ეს დღე დადგება, ჩვენ მას მზადყოფნაში უნდა შევხვდეთ — ამ ყველაფრის სწავლაზე შემდეგ აღარ უნდა დავკარგოთ დრო“.

# ᲙᲝᲙᲝᲘᲗᲘ ᲠᲣᲡᲘ ᲙᲣᲠᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ: „ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲛᲘᲕᲮᲔᲓᲐᲕᲗ“

**ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲡᲐ** **და მოსკოვში დღემდე აქტიურად განიხილავენ 4 მარტს სოხუმში დე ფაქტო ექსპრეზიდენტ ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲙᲝᲙᲝᲘᲗᲘᲡ მიერ გაკეთებულ განცხადებებს, რომლებიც ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მომავალსა და მასში რუსეთის როლს ეხებოდა. ეს რეზონანსული განცხადებები აფხაზეთის რიგით მეორე დე ფაქტო ექსპრეზიდენტის — აწ გარდაცვლილი სერგეი ბაღაფშის დაბადების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე გაკეთდა.**

ედუარდ კოკოითის მიმართვის ადრესატს წარმოადგენდნენ მოქალაქეები, რომელთაც სოხუმისა და ცხინვალის შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში მოსკოველი კურატორების ჩარევა და „ახალგაზრდა რესპუბლიკების სუვერენიტეტის თანმიმდევრული განადგურება“ აღიზიანებთ.

**„(...) ჩვენი ძმების — აფხაზების სახლში პატრონები თავად აფხაზები არიან. მე მინდა, გთხოვოთ, თავად გადაწყვიტოთ თქვენს სახლში საკუთარი პრობლემები (ტაში), ნუ მოექცევით იმ ადამიანების გავლენის ქვეშ, რომლებიც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის გარკვეულ დავალებებს ასრულებდნენ, ხოლო ახლა, როდესაც ვერ შეასრულეს, სურთ, ჩვენს ხალხებს შეახოცონ ხელი. მათი სარეპუტაციო პრობლემების გამო დღეს ყველაზე მეტად ჩვენ ვზარალდებით და ამის შესახებ ღიად უნდა განვაცხადოთ. ჩვენს პრობლემებს საკუთარ სახლებში თავად მივხედავთ! (ტაში). ძალიან კარგად ვიცით, ვის გააჩნია ე.წ. „საკონვერტო“ უფლებები. ეს ადამიანები როგორც აფხაზეთში, ისე სამხრეთ ოსეთში უნდა დაფიქრდნენ: რა არის თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანი — ხალხის აზრი, პატივისცემა და სიყვარული, თუ იმ ჩინოსნების პოზიცია, რომლებმაც რუსეთის პრეზიდენტის დავალება ჩააგდეს? ასე არ გამოვა, მეგობრებო, ჩვენ იმისთვის არ გვიბრძოლია, რომ ჩვენზე ვინმემ ექსპერიმენტები ატაროს! აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთის ფედერაციისთვის საიმედო ფორპოსტს წარმოადგენენ და ეს არანაირ რევიზიას არ ექვემდებარება, რადგან აღიარა რა ჩვენი დამოუკიდებლობა, რუსეთმა შანსი მოგვცა. თქვენ ააღორძინეთ აფხაზეთი, ჩვენც 800 წლის შემდეგ ავაღორძინეთ ჩვენი ალანიური სახელმწიფო და ახლა წინაპრების ხსოვნის წინაშე ვალდებულები ვართ, ეს საქმე განვაგრძოთ. მამაზეციერმა ასეთი საჩუქარი გვიბოძა. ხალხები მილიონობით ქრებიან, ბევრს ნორმალური ავტონომიაც კი არ გააჩნია, ჩვენ კი — მცირე ერებმა საკუთარი სახელმწიფოები ავაღორძინეთ. მოდით, დავაფასოთ ეს ჩვენი მონაპოვარი, ეს ჯილდო ჩვენი გმირობისთვის და ნუ დავუშვებთ ჩვენი გამარჯვების ალმის დაშვებას“,** — განაცხადა ცხინვალის რეგიონის ყოფილმა დე ფაქტო ლიდერმა.

ნათელია, რომ „საკონვერტო“ უფლებაზე საუბრისას კოკოითმა მიანიშნა შარშანდელ სკანდალურ ისტორიაზე, რომელიც რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწის **ᲕᲐᲓᲘᲡᲚᲐᲕ ᲡᲣᲠᲙᲝᲕᲘᲡ** მიმოწერის განსაჯაროებასა და დე ფაქტო დეპუტატებისა და ჩინოსნებისთვის გაგზავნილ კონვერტებს ეხებოდა.

**„დიდი ალბათობით სოხუმი ამ განცხადებების გახმიანებას ადგილად შემთხვევით არ ყოფილა შერჩეული: იქ ხომ მოსკოველი კურატორები ყველაზე მეტად მობეზრდათ და დარბაზის რეაქცია ამის კიდევ ერთი დასტურია: ადამიანები კოკოითს აფხაზეთის მოქმედი პრეზიდენტისა და რუსი დიპლომატების თანდასწრებით უკრავდნენ ტაშს. კოკოითმა თითქოს ჰკითხა ამომრჩევლებს: მზად ხართ, შეეგუოთ იმას, რომ აი, ეს მერკანტილური ამხანაგები, ერთი დღით მცხოვრები ჩინოსნები წარმოადგენენ თქვენს ე.წ. ეროვნულ ელიტას? გსურთ, რომ მათ მიანდოთ თქვენი სახელმწიფოს მშენებლობა და თქვენი შვილების მომავალი? კოკოითის სიტყვებმა ბევრის გულს მიაღწია, მან ეს სრულიად გამიზნულად ქნა, რადგან იცის საზოგადოებაში მსგავსი განწყობების არსებობის შესახებ“,** — წერს ამასთან დაკავშირებით „რადიო თავისუფლების“ ადგილობრივი მიმომხილველი **ᲛᲣᲠᲐᲢ ᲒᲣᲙᲔᲛᲣᲮᲝᲕᲘ** .

კავკასიოლოგი **ᲒᲔᲚᲐ ᲮᲛᲐᲚᲐᲫᲔ** კოკოითის სოხუმური გამოსვლის დროს მსმენელთა ტაშს აფხაზეთში არსებული ზოგადი განწყობების კონტექსტში განიხილავს. **„ისინი, ვისაც ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა სურს, უმცირესობაში არიან და ცხინვალში ამინდს ვერ ქმნიან. უმეტესობას რუსეთთან შეერთება სურს. რაც შეეხება აფხაზეთს, იქ უკმაყოფილება მართლაც იზრდება. რუსეთმა ბოლო ორი წლის განმავლობაში მათ დაფინანსება შეუმცირა. აფხაზები კი ვაჭრობენ: ხან მოსკოვს თავს აცოდებენ, ხანაც ვითომ ემუქრებიან, რომ ფულის არმიღების შემთხვევაში რაღაც დამოუკიდებელ პოლიტიკურ თამაშს წამოიწყებენ. ეს განწყობა იგრძნობა ბოლო თვეების განმავლობაში და მსგავსი განწყობები თავად ადგილობრივი ე.წ. ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებშიც შეინიშნება“,** — განაცხადა კავკასიოლოგმა.

ამ მოსაზრებას იზიარებს კავკასიოლოგი **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ,** თუმცა ამატებს, რომ მოსკოვით გაღიზიანება, რომელიც სოხუმში ადრეც შეიმჩნეოდა, როგორც ჩანს, ახლა მომძლავრდა ცხინვალშიც:

**„ივნისში, ჩატარდება ე.წ. საპარლამენტო არჩევნები ცხვინვალში. კოკოითის ხმაური, განცხადებებიც სოხუმში ამ კონტექსტშია განსახილველი. რეალურად, იგი არა იმდენად აუდიტორიაში მსხდომ ხალხს მიმართავდა, რამდენადაც ამომრჩეველს ცხვინავლში. საქმე ისაა, რომ რუსი კურატორების გადამეტებული აქტიურობით არა მხოლოდ სოხუმში, არამედ ცხინვალშიც გაღიზიანებულები არიან. სოხუმში, რუსეთის მიერ აფხაზეთის შიდა საქმეებში ჩარევას ყოველთვის მოჰყვებოდა ხოლმე გაღიზიანება; თუმცა, როგორც ჩანს ცხინვალშიც არიან რუსეთით გაღიზიანებულები. შესაბამისად კოკოითი სწორედ მათ მიმართავს. ამასთანავე, როგორც ჩანს, საარჩევნო კამპანიის ფარგლებში კოკოითი ცალკეულ ჩინოვნიკებს და არა რუსეთს გააკრიტიკებს. სავარაუდოდ, ცხინვალში პოლიტიკურად ცხელი გაზაფხული დადგება“.**

ოსი ანალიტიკოსების უმეტესობა კი კოკოითის განცხადებებს მოახლოებულ დე ფაქტო საპარლამენტო არჩევნებს უკავშირებს და წინასაარჩევნო პიარსვლად აფასებს: **კოკოითმა თითქოს მიანიშნა, რომ სწორედ მოსკოველმა კურატორებმა და ადგილებზე მათმა ქვეშევრდომებმა არ დაუშვეს იგი 2017 წლის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე, ახლა კი ცდილობენ, ე.წ. საპარლამენტო არჩევნებზე მისი გავლენა გაანეიტრალონ.**

**„ᲐᲥᲪᲔᲜᲢᲘ“**

# მაინც რა ფორმისაა დედამიწა?

**ისე, კაცმა რომ თქვას, ამ კითხვას ან პატარა ბავშვებზე გათვლილად, ანდა შაყირად ნათქვამად თუ აღვიქვამთ და, როგორც ირკვევა, სრულიად ტყუილადაც. საქმე ისაა, რომ მსოფლიოში უამრავი ხალხია, ვინც**



**დარწმუნებულია, რომ დედამიწა ბრტყელია და მათგან აქტივისტების ერთი ჯგუფი გაისად ექსპედიციის მოწყობასაც გეგმავს, რომლის მიზანია... პლანეტის კიდემდე მისვლა და ამით მის ფორმასთან დაკავშირებული ათასწლოვანი კამათისთვის წერტილის დასმა.**

ბრტყელი დედამიწის ადეპტთა რიცხვი იმაზე გაცილებით დიდია, ვიდრე კაცს შეიძლება ეგონოს: მთელ დედამიწაზე ასეთი, როგორც ჩანს, დაახლოებით 15 პროცენტია, ანუ, ფაქტობრივად, ყოველი მეექვსეა. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ მზე დედამიწის გარშემო ბრუნავს. ასევე დედამიწის ირგვლივ ბრუნავენ სხვა პლანეტებიც, ოღონდ ისინი კი ნაღდად მრგვალები არიან.

2018 წლის აგვისტოში კანადის ქალაქ ედმონტონში, მესამე საერთაშორისო კონფერენციაზე „ბრტყელი დედამიწა", მიიღეს გადაწყვეტილება გაისად, 2020 წელს მოაწყონ საზღვაო ექსპედიცია, რომლის მიზანი იქნება მრგვალი დედამიწის შესახებ მითის გაქარწყლება. გაბედულ ზღვაოსნებს ჩაფიქრებული აქვთ დედამიწის კიდემდე მიღწევა.

ბუნებრივია, რომ ყველა განათლებულ კაცს დაებადა კითხვა: დასახულ მიზნამდე რომ მიაღწევს, მგზავრებით სავსე საზღვაო ხომალდი უფსკრულში ხომ არ გადაიჩეხება? თუმცა, რამდენადაც ექსპედიციის ხელმძღვანელები აცხადებენ, არც გემს, არც მის მგზავრებს არანაირი საფრთხე არ ელის იმ მარტივი მიზეზით, რომ დედამიწის დისკო ყინულის უზარმაზარი სქელი კედლით — ანტარქტიდაა — შემორაგული. სხვათა შორის, ეს სწორედ ის ბარიერია, რომელიც ოკეანეების წყალს კოსმოსში „დაქცევის" საშუალებას არ აძლევს.

გაცილებით უფრო ძნელად გადასაჭრელია მეორე პრობლემა: სად უნდა მოძებნონ გემის კაპიტანი, რომელიც ცრურწმენებს მიაფურთხებს და შორეულ ნაოსნობას იმ რწმენით გაუდგება, რომ დედამიწა ნამდვილად დისკოა და არა სფერო?! ექსპერტების აზრით, ასეთი მეზღვაურებით ხომალდის ეკიპაჟის დაკომპლექტება შესაძლოა ურთულეს ამოცანად იქცეს.

ცნობილია, რომ თანამედროვე საზღვაო ნავიგაცია, უმეტესწილად, საყოველთაო პოზიციონერების GPS-სისტემებით აღჭურვილი თანამგზავრებით ხდება, რომელიც თავისთავად იმას მოწმობს, რომ დედამიწა სფეროა (**უფრო სწორად, გეოიდი — ნ.ა.**) და არა დისკო. კონკრეტული ობიექტის ადგილმდებარეობის დასადგენად, საჭიროა მისგან წამოსული სიგნალი სულ მცირე სამმა თანამგზავრმა დაადგინოს. შესაბამისად, დედამიწა დისკო რომ იყოს, საკმარისი იქნებოდა კოსმოსში მხოლოდ სამი თანამგზავრის გაშვება და ეს დედამიწის მთელი ტერიტორიის დასაფარად საკმარისი იქნებოდა. მაგრამ, ეს სქემა არ მუშაობს დედამიწის ზედაპირის სიმრუდის გამო. ამიტომაცაა, რომ GPS-სისტემის მუშაობას 24 თანამგზავრის დაჯგუფება უზრუნველყოფს.

ამის მიუხედავად, ბრტყელი დედამიწის იდეის მომხრეები თავიანთი ჩანაფიქრის განხორციელებაზე უარის თქმას არ აპირებენ.

**ნინო ალექსანდრია**

## ◎ ინფორმაცია თემაში

**ბრტყელი დედამიწის თეორიის მომხრეთა ძირითადი პოსტულატები:**

— დედამიწა — ესაა 40 ათასი კილომეტრის დიამეტრის მქონე ბრტყელი დისკო, რომლის ცენტრში განთავსებულია ჩრდილოეთი პოლუსი;

— სინამდვილეში სამხრეთი პოლუსი არ არსებობს. ის, რასაც ანტარქტიდას უწოდებენ, ყინულის კედელია, რომელიც დედამიწის დისკოს ნაპირების გაყოლებაზეა აღმართული;

— მზე, მთვარე და პლანეტები დედამიწის თავზე ჩრდილოეთი პოლუსის გარშემო ბრუნავენ;

— კოსმოსიდან გადაღებული დედამიწის ფოტოსურათები გაყალბებულია. მოსახლეობა კოსმოსური სახელმწიფოების შეთქმულების მსხვერპლია;

— მთვარის ზედაპირზე ამერიკელთა გადასხმა ჰოლივუდში გადაღებული მისტიფიკაციაა.



# ნუგზარ ბაგრატიონს გენეალოგია წესრიგში არ ჰქონია!

**ნუგზარ ბაგრატიონს არა აქვს გენეალოგია წესრიგში** — ამ განცხადებას, დავით ბაგრატიონ-მუხრანელის ადვოკატი აკეთებს. ლევან ჩხეიძე ნუგზარ და ანა ბაგრატიონ-გრუზინსკებს სასამართლო დავის შეწყვეტისკენ მოუწოდებს და დნმ-ის ანალიზის ჩატარების მოთხოვნის მიზეზებს განმარტავს.

**„ჩვენს მხარეს არანაირი სურვილი არ აქვს ამ პროცესში მონაწილეობისა, უბრალოდ საპროცესო კანონმდებლობა გვავალდებულებს, ვიყოთ ჩართულნი და თუ არ მივიღებთ მონაწილეობას პროცესში, სასამართლო დაუსწრებლად დაკმაყოფილებს მოსარჩელის სარჩელს. ჩემი მარწმუნებელი მოუწოდებს მოსარჩელის მხარეს, შეწყვიტოს აღნიშნული უპერსპექტივო, უაზრო და დამაზიანებელი დავა ორივე მხარისთვის. საზოგადოებას აქვს უკიდურესად ნეგატიური დამოკიდებულება, უკეთეს შემთხვევაში ეს გამოიხატება ცინიზმში, ხოლო უარეს შემთხვევაში — ლანძღვაში. დავა მოწინააღმდეგე მხარისთვის არანაირად არ არის იურიდიული შედეგის მომტანი, გამორიცხულია მისი მოგება კანონმდებლობით, რომელიც ქვეყანაში მოქმედებს და ეს აზარალებს ორივე მხარის რეპუტაციასა და ღირსებას. მოეგონ გონს, რა მიმართულებით მიდიან და შეწყვიტონ დავა",** — განაცხადა ჩხეიძემ.

---

**საქმე №1/05-2019**

# საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ"-ს სახელით

**საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

ქ. თბილისი 13 მარტი 2019 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი"**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **ლევან ხოსროშვილი, გვანცა ბოკუჩავა**

დავის საგანი: **ფულადი ვალდებულების შესრულება**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

შპს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ"-ს მიერ 2019 წლის 19 თებერვალს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელი მოპასუხე ლევან ხოსროშვილისა და გვანცა ბოკუჩავას მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2018 წლის 21 აპრილს შპს ,,ნოვა კრედიტსა" და ლევან ხოსროშვილს შორის დაიდო №041817015 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს ,,ნოვა კრედიტმა" მსესხებელზე გასცა 7000 ლარის ოდენობით სესხი, წლიური 60 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 18 თვე.

2018 წლის 21 აპრილს შპს ,,ნოვა კრედიტსა" და გვანცა ბოკუჩავას შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება.

ხელშეკრულების თანახმად, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3 პროცენტი ყოველ ვადაგადაციელბულ დღეზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ლევან ხოსროშვილისა და გვანცა ბოკუჩავას მიმართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულების შესრულება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე გვანცა ბოკუჩავას ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის რამოდენიმე მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე არ იმყოფება.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე გვანცა ბოკუჩავას მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე გვანცა ბოკუჩავა ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე არ იმყოფება, მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი კი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს არბიტრაჟის ვებგვერდზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ"-ს დებულებით.

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე გვანცა ბოკუჩავას (პირადი №39001009219) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ"-ს წარმოებაშია შპს ,,ნოვა კრედიტი"-ს სარჩელი ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით.

2. გვანცა ბოკუჩავას განემარტოს, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ"-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/მ. ლებანიძის ქ. №2, ბინა 11 (ყოფ. ბორჯომის ქ.). ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, ,,არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ"-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხე, გვანცა ბოკუჩავას მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე გვანცა ბოკუჩავას ეცნობოს, რომ 2019 წლის 29 მარტს 12:00 საათზე შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ"-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/მ. ლებანიძის ქ. №2, ბინა 11(ყოფ. ბორჯომის ქ.), დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელზე, ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით ლევან ხოსროშვილისა და გვანცა ბოკუჩავას მიმართ.

5. გვანცა ბოკუჩავას ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკა"-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

◎ ძალოსნობა

# ორი „ვერცხლი“ ლას-ვეგასიდან

**ლას-ვეგასში (აშშ) მიმდინარე ახალგაზრდა ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების (მთავარი მწვრთნელი ზურაბ ანთაური) წევრმა გურამ გიორბელიძემ 67 კილოში ორი ვერცხლის მედალი მოიპოვა. ატაცში მან სამივე ცდა გამოიყენა, 120 კილოგრამით საკუთარ მიღწევას 2 კილოგრამით გადაამეტა და საქართველოს რეკორდიც დაამყარა, თუმცა, ამ შედეგით მხოლოდ მე-6 ადგილი ხვდა. 127 კილოგრამით საუკეთესო იყო ყაზახი საიხან ტაისუევი.**

აკვრაში გურამმა ორი ცდა გამოიყენა – 150 კილოგრამით ვერცხლის მედალი დაიმსახურა და ორჭიდშიც მეორე ადგილი დაიკავა, თან ევროპის რეკორდიც გააუმჯობესა. ამ მოძრაობაშიც ოქროს ჯილდო ტაისუევმა დაისაკუთრა.

**67 კგ.** 1.საიხან ტაისუევი (ყაზახეთი) – 288 (127+161), 2.გურამ გიორბელიძე (საქართველო) – 270 (120+150), 3.ბეკტიმურ რეიმოვი (თურქმენეთი) – 269 (122+147). დღეს ლას-ვეგასის ფიცარნაგზე მანუჩარ გოგოხია (81 კგ) და ლაშა თაქთაქიშვილი (102 კგ) იასპარეზებენ.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: ოსტატი და შეგირდი**

◎ ხელბურთი

# სამი ქულით გაუსწრეს

**2002-2003 წლებში დაბადებულ ხელბურთელ გოგონათა საქართველოს ჩემპიონატში ცხრა გუნდი მონაწილეობს. ამ დღეებში სენაკმა და თბილისმა მეორე წრის შეხვედრებს უმასპინძლეს.**

ფოთის „ოქროს ვერძმა“ რვაბურთიანი სხვაობით დაამარცხა „სამტრედია“, ვისთანაც პირველ წრეში ქულა დაკარგა. ზღვისპირელები 27 ქულით ლიდერობენ და უახლოეს მდევარს – შარშანდელ ჩემპიონ „აჭარას“ სამი ქულით უსწრებენ.

**აღმოსავლეთი. სპორტკომპლექსი „არენა“.** მამული – ქარიშხალა 24:33, პეგასი – ყვარელი 21:21, ყვარელი – მამული 27:23.

**დასავლეთი. სენაკის სპორტის სასახლე.** ბათუმი – სამტრედია 11:15, წყალტუბო – აჭარა 8:24, ფოთი – წყალტუბო 22:12, აჭარა – ბათუმი 24:10, სამტრედია – ფოთი 14:22.

**სატურნირო მდგომარეობა:** ფოთი - 27 (259:171), აჭარა – 24 (298:190), ქარიშხალა – 17 (296:247), სამტრედია – 17 (235:200), ყვარელი – 16 (244:220), პეგასი – 9 (222:220), ბათუმი – 7 (171:239), წყალტუბო - 3 (156:283), მამული – 0 (207:328) ქულა.

23-27 მარტს საქართველოს დედაქალაქში მეორე წრის საერთო ტური გაიმართება, ჩემპიონი კი სამწრიანი ტურნირის, ანუ 24-24 მატჩის შემდეგ გამოვლინდება. საგულისხმოა, რომ 17-წლამდელ ხელბურთელ გოგონათა საქართველოს ნაკრები 2019 წლის აგვისტოში თანატოლთა ევროპის ჩემპიონატში იასპარეზებს.

**ვაჟა დანელია**

◎ კრივი

# ანას „ბრინჯაო“

**ვლადიკავკაზში** გრძელდება 22-წლამდელ მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ნაკრების (მწვრთნელები – ბეჟან ჭიჭინავა და ლაშა დუნდუა) წევრებიც მონაწილეობენ. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ანა ხუნჯუამ, რომელმაც 54 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი დაიბევა.

ქართველმა მოკრივემ მეოთხედფინალში აშკარად დაჯაბნა ბელარუსი ალიაქსანდრა კარპოვიჩი და ნახევარფინალში გავიდა. ეს ორთაბრძოლა ხვალ გაიმართება. ჩვენებურის მეტოქე იქნება რუსი ანასტასია არტამონოვა, რომელმაც იტალიელი ჯორდანა სორენტინი დაამარცხა.

**გივი გაგუა.**

**სურათზე: ანა ხუნჯუა (მარჯვნივ).**

◎ სუმო

# თანაბარ ბალანსზე

**ქართველმა სუმოისტმა ლევან გორგაძემ, იგივე ტოჩინოშინმა იაპონიის ქალაქ ოსაკაში მიმდინარე საგაზაფხულო სუპერტურნირზე მე-2 გამარჯვება იზეიმა და თანაბარ ბალანსზე გავიდა.**



გუშინ აღმოსავლეთის ოძეკის მქონე ქართველი გოლიათი აღმოსავლეთის მე-3 მაეგაშირა ნიშიკიგის გაეჯიბრა და ურთულეს ორთაბრძოლაში იორიტაოშით იმარჯვა. ტოჩინოშინმა ინიციატივა თავიდანვე ხელთ იგდო, სასურველი ჩავლება მოიპოვა და, მართალია, იაპონელი ბოლომდე გაუძალიანდა, მისი დოჰიოდან გაყვანა მაინც მოახერხა.

ამ შერკინებაშიც ნათლად გამოჩნდა, რომ ლევანი ტრავმის მერე სასურველ ფიზიკურ კონდიციებში არ იმყოფება, რადგანაც სხვა შემთხვევაში ნიშიკიგის საქმეს გაცილებით ადრე მოუთავებდა.

თუმცა, მთავარი მოგება და იმ მიზნის მიღწევაა, რომელიც ქართველ სეკიტორს ჰარუ ბაშოზე აქვს დასახული. შეგახსენებთ, რომ გორგაძე კადობანში გახლავთ ჩაყენებული და უცილობლად დადებითი ბალანსი (კაჩი-კოში) უნდა დააფიქსიროს, რათა პრესტიჟული წოდების შენარჩუნება შეძლოს.

ტოჩინოშინი მომდევნო შერკინებას დღეს გამართავს და მისი მეტოქე აღმოსავლეთის პირველი მაეგაშირა კაისეი იქნება. ბრაზილიელმა სუმოისტმა ოსაკას ბაშო ძალიან წარუმატებლად დაიწყო და ოთხივე ბრძოლა წაგებული აქვს, ლევანი კი მას ურთიერთშეხვედრებში 11:7-ს ამარცხებს.

აქვე ვთქვათ, რომ ელიტურ მაკუუჩი დივიზიონს 4-4 გამარჯვებით 5 სეკიტორი ლიდერობს. ესენი იოკოძუნა ჰაკუჰო, ოძეკი გოეიდო და რიგითი მაეგაშირები იჩინოჯო, კოტოშოგიკუ და იშიურა არიან.

რანგით მე-2 დივიზიონ ჯურიოში თანაბარ ბალანსზე (2-2) გასვლა მოახერხა გაგამარუს შიკონათი ცნობილმა თეიმურაზ ჯუღელმა. ქართველმა გოლიათმა მიჯრით მე-2 მოგება (ჰატაკიკომით) აღმოსავლეთის მე-5 ნომერ ვაკატაკაკაგესთან მიითვალა.

შეგახსენებთ, რომ თავად გაგამარუ ჰარუ ბაშოზე აღმოსავლეთის მე-8 განთესვით ირჯება, მისი ხვალინდელი მოწინააღმდეგე კი აღმოსავლეთის მე-9 ნომერი კიოკუტაისეი იქნება, რომელთანაც ჩვენებურს 8-დან მხოლოდ 3 შერკინება აქვს მოგებული.

**კოგა კოგახიძე**

◎ საუკუნის მწვრთნელი

# ვახტანგ ქარსელაძის ახდენილი ოცნება

**მრავალ ისტორიულ დოკუმენტსა და წყაროშია მოხსენიებული ქართული საჭადრაკო სკოლა, რომელსაც არაერთი საინტერესო გამოკვლევა მიეძღვნა. ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა დიდად გაითქვეს სახელი სპორტულ სამყაროში, ეს უდიდესი აღიარება კი თავისთავად არ მოსულა. იგი ქართველ მწვრთნელთა სამჭედლოს ხანგრძლივი მეცადინეობისა და თავდადების ნაყოფია.**

ქალთა პირველი ჩემპიონატი 1935 წელს ჩატარდა და ჩვენი ქალბატონების ბრწყინვალე წარმატებები მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მონაგარს დაამშვენებდა. ამ მიღწევებში განსაკუთრებულია შესანიშნავი მწვრთნელისა და პედაგოგის **ვახტანგ ქარსელაძის** ღვაწლი და დამსახურება.



იგი გახლდათ ალღოიანი მწვრთნელი, დაჯილდოებული იყო ტალანტების მოძიების საოცარი ნიჭით. ერუდირებული დამრიგებელი დიდი ენთუზიაზმით ამეცადინებდა ნორჩ მოჭადრაკეებს ელისო კაკაბაძეს, მანანა ტოგონიძეს, ნონა გაფრინდაშვილს, ალა ჩაიკოვსკაიასა და ნანა ალექსანდრიას. აღმზრდელი განსაკუთრებით ასახელეს ნონა გაფრინდაშვილმა და ნანა ალექსანდრიამ. დასაფასებელია მის მიერ დაფრთიანებულ ვაჟ მოჭადრაკეთა დახვეწილი ოსტატობაც (რომან ჯინჯიხაშვილი, იური ჩიქოვანი, ალეკო ბოკუჩავა).

ბატონი ვახტანგის ნაყოფიერი მოღვაწეობა ჯეროვნად დაფასდა საბჭოთა საქართველოში, რაც მრავალი სახელმწიფო ჯილდოთი აღინიშნა. სწორედ ვახტანგ ქარსელაძემ აღმოაჩინა შემდგომში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილის ტალანტი 1953 წელს ბათუმში გამართულ მოსწავლეთა რესპუბლიკურ გუნდურ ჩემპიონატში, სადაც 12 წლის გოგონა ზუგდიდის სპორტულ ღირსებას იცავდა. ამაგდარი სპეციალისტის რჩევით იგი გადმოიყვანეს თბილისში. ქართული საჭადრაკო სკოლის აღორძინების საქმეში ასევე უდიდესი წვლილი შეიტანეს ბატონი ვახტანგის კოლეგებმა ვიქტორ გოგლიძემ, მიხეილ შიშოვმა, მოგვიანებით კი ბუხუტი გურგენიძემ. უკურნებელი სენით შეპყრობილი ვახტანგ ქარსელაძე 1966 წლის 15 სექტემბერს სრულიად ახალგაზრდა, ჯან-ღონით აღსავსე 47 წლის ასაკში გარდაიცვალა. მის პატივსაცემად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ დაამკვიდრა ქარსელაძის მემორიალი, რომელსაც პირველად 1968 წელს გორმა უმასპინძლა. ხსოვნის ტურნირის გამარჯვებული მიხეილ ტალი გახდა, ხოლო მეორე და მესამე ადგილები, შესაბამისად, ბუხუტი გურგენიძემ და ეფიმ გელერმა დაიკავეს.

ჯერ კიდევ ადრეულ წლებში პროგნოზირებდა ამაგდარი მწვრთნელი თავისი საამაყო მოსწავლეების – ნონა გაფრინდაშვილისა და ნანა ალექსანდრიას დაპირისპირებას მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში, რაც განხორციელდა კიდეც 1975 წლის 21 ოქტომბრიდან 27 ნოემბრამდე, რომელიც ბორჯომში ჩატარდა. სამწუხაროდ, ამ ოცნების ასრულებას ბატონი ვახტანგი ვერ მოესწრო – იგი 9 წლის გარდაცვლილი გახლდათ.

სახელოვან მწვრთნელს, თაობათა ღირსეულ აღმზრდელს ვახტანგ ქარსელაძეს წლეულს 100 წელი შეუსრულდებოდა. ვფიქრობ, მისი სახელის უკვდავსაყოფად კარგი იქნება, თუ ჭადრაკის ფედერაცია გაითვალისწინებს მის უზარმაზარ ღვაწლს ეროვნული ჭადრაკის განვითარების საქმეში და რომელიმე პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირს მის სახელს მიანიჭებს. ეს სავსებით კანონზომიერი იქნება იმ დიდი ამაგის დასაფასებლად, რაც ვახტანგ ქარსელაძემ დასდო ჩვენი ჭადრაკის განვითარების საქმეს.

**ბეჟან ჩხეიძე,**
**ზესტაფონიდან.**

სანთელი

# ჯემალ ხერხაძე

74 წლის ასაკში გარდაიცვალა ქუთაისის „ტორპედოს“ ლეგენდა **ჯემალ ხერხაძე**. ის „ტორპედოს“ საფეხბურთო სკოლის აღზრდილი იყო, სადაც ქუთაისური კლუბის მაისურით 15 სეზონი (1962-1976) თამაშობდა და 337 მატჩში 82 გოლი გაიტანა.

ქუთაისელ გულშემატკივრებს ხერხაძე კლუბისადმი ერთგულების გამო განსაკუთრებით უყვარდათ. მას რამდენჯერმე თბილისის „დინამოში“ გადასვლა შესთავაზეს, მაგრამ უარი განაცხადა.

კარიერის დასრულების შემდეგ მწვრთნელობა გადაწყვიტა და 1977 წლიდან მოღვაწეობა „ტორპედოში“ დაიწყო. ის ავტოქარხნელებს 1977-84, 1987-2000 წლებში ავარჯიშებდა. 1999 წლის 26 მაისს მისი ხელმძღვანელობით „ტორპედომ“ საქართველოს თასი მოიგო. მაშინ ხერხაძის გუნდმა ფინალში წყალტუბოს „სამგურალი“ დაამარცხა.

ხერხაძე გასული საუკუნის 60-იან წლებში საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრებში გამოდიოდა. 1969 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში 16 გოლი გაიტანა და კიდევ ორ ფეხბურთელთან ერთად ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, მაგრამ გაზეთ „ტრუდის“ გადაწყვეტილებით (რომელიც საუკეთესო ბომბარდირის პრიზს გადასცემდა) ჯილდო მხოლოდ მოსკოვის „სპარტაკის“ თავდამსხმელ ნიკოლაი ოსიანინს ერგო. გადაწყვეტილება ასე დაასაბუთეს – „მისი გუნდი ჩემპიონი გახდა, თავად კი გადამწყვეტ შეხვედრებში მნიშვნელოვანი გოლები გაიტანა“. ასე დაჩაგრეს ქართველი თავდამსხმელი, რომელიც ქუთაისელ გულშემატკივართა კერპი გახლდათ.

საინტერესოა, რომ ხერხაძე შედის მსოფლიოს იმ 90 ფეხბურთელს შორის, რომელმაც ერთ კლუბში 15 სეზონი გაატარა.

მშვიდობით, ბომბარდირო!

**„სრ“ სპორტის რედაქცია**

# „საქართველოს გაზეთი“ 200 წლისაა!

**200 წელი შეუსრულდა პირველ ქართულ გაზეთს, „საქართველოს გაზეთს“, რომელმაც დღის სინათლე იხილა 1819 წლის 8 მარტს. გაზეთი დაარსდა კავკასიის მთავარმართებლის, გენერალ ერმოლოვის მფარველობითა და**



**უშუალო მეთვალყურეობით („სარგებლობისა და კმაყოფილებისათვის მცხოვრებთა“). გამოდიოდა კვირაში ერთხელ საწერი ქაღალდის თაბახის ზომისა, 4 გვერდის მოცულობით.**

გაზეთის ტექსტი რუსულად იწერებოდა და შემდეგ ითარგმნებოდა ქართულად. გაზეთში ათავსებდნენ ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობის ბრძანებებსა და განკარგულებებს, მოხელეთა დანიშვნის, დაჯილდოებისა და გადაყვანა-გადმოყვანის ცნობებს, რუსეთისა და საქართველოს შინაურ ამბებს, უცხოეთის ამბებს, მოთხრობებს, ანეკდოტებს, განცხადებებს, უკანასკნელთა შორის განცხადებებს ყმების გაყიდვის შესახებ.

1820 წლის 30 ივლისის ნომერში არის განცხადება: **„საჯაროდ იქნება გაყიდული გლეხი გოგი ელბაქიძე თავის ცოლით, შვილით და სამი სული რქოსან საქონელით“.**

გვხვდება ასეთი განცხადებებიც:

**„გორის უეზდის სოფელს დავრის მცხოვრებნი ბარძიმ მაჩაბელოვის ყმა დათუა კვაღენიძე თავის ცოლით და ვაჟის და ქალისშვილებით, ძმისწული ნინიათი და ვენახით იმ ას სამოც და სამს რუბლში, რომელიც მართებს მას აზნაურის გაბაშვილის ქალის ელისაბედისი, იმათის გასყიდვის ვადა დანიშნულ არს ამა წლის ნოემბრის კ. და დეკემბრის ე. და კ. რიცხვებში“.**

**„ასტრონომიის მრიცხველობათაებრ ცხადდება, რომელ შემდგომად მომავალსა შინა წელსა, ჩყით ვიქმნებით მოწამე ერთისა ძვრითაგამოცხადებისათაგანისა ცისა ზედა სახელდობრ ბეშვ, რიცხვსა სექტემბრისასა ახლისაებრ შტილისა, ხოლო ძველრლისაებრ ოც და ექვს რიცხვსა ტოსასა შუა დღისას იქმნების სრული დაბნელება მზისა, რომელიც ფრიად დიდის ხნის შემდეგ არა გვინახავს ჩვენგან... ნიდერლანდთა შინა, ამა საგანზედ არს წიგნი, რომელიც მიეწერების მეცნიერსა კაცსა ვანსვიდურს სურათებითურთ, რომელსა ზედა გამოხატულ არს დაბნელება სამთა სხვა და სხვათა შინა“.**

ზაქარია ჭიჭინაძე „საქართველოს გაზეთის“ მთავარ ნაკლად მიიჩნევდა, „ძველის საღმრთო წერილის ენით წერილების წერას“.

**„ეს ძველი ენა, რომელიც კი მეფობდა საქართველოში 1850 წლამდე, იყო რაღაც განკერძოებული თვისების ენა. იგი არც ძველს ეკუთვნოდა და არც ახალს, უფრო კერძოებით ხასიათის მექონ სურათს წარმოადგენდა. მისას ვერც ერი გაიგებდა რამეს ადვილად და ვერც მღვდელი“,** – წერდა ზაქარია ჭიჭინაძე 1916 წელს გამოცემულ „ქართული გაზეთის ისტორიაში“.

„მძიმე ენის“ გამო გაზეთი ვრცელდებოდა დიდი გაჭირვებით, ადმინისტრაციული გზით, დაახლოებით 150-200 ცალი.

1820 წლის მეორე ნახევრიდან გაზეთი გამოდიოდა „ქართული გაზეთი“-ს სახელით.

**ჯიმშერ რეხვიაშვილი**

## 13 წლის გოგონა სახურავიდან გადმოვარდა!

**რუსთავში**, ლეონიძის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის სახურავიდან 13 წლის გოგონა გადმოვარდა. მოზარდი ადგილზე გარდაიცვალა. მომხდარის ზუსტი დეტალები უცნობია, თუმცა არსებული ინფორმაციით, შემთხვევა მაშინ მოხდა, როდესაც ორი მოზარდი ფოტოს გადაღებას ცდილობდა.

ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია და სასწრაფო დახმარების ბრიგადები. მეორე მოზარდი სასწრაფო სამედიცინო ბრიგადებმა შოკურ მდგომარეობაში საავადმყოფოში გადაიყვანეს.

## უბედურ შემთხვევას შეეწირა 25 წლის ბიჭი

**ოზურგეთში** მოტოციკლეტით მოძრავი ახალგაზრდა ორ მსუბუქ ავტომანქანას შეეჯახა. შემთხვევის შედეგად მოტოციკლეტის მძღოლი ადგილზე გარდაიცვალა. ავტოსაგზაო შემთხვევის დროს დაშავდა რამდენიმე პირი, რომელებიც ავტომობილებში იმყოფებოდნენ.

სანთელი

ნოდარ შარტავა, ოთარ ჭითანავა, ანზორ ჭითანავა, ადიკო გვალია, მურმან ჩაკაბერია, კარლო შანავა თანაუგრძნობენ მერაბ დავითაიას დედის, ქალბატონი

## ნადეჟდა დავითაიას

გარდაცვალების გამო.

---

„ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

## მერაბ კერესელიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# საპენსიო ფონდში პირველი 100 მილიონი შეგროვდა

ეს განცხადება საპენსიო სააგენტოს დირექტორმა ლევან სურგულაძემ გაავრცელა. მისი თქმით, ეს მიუთითებს იმაზე, რომ საპენსიო რეფორმა წარმატებით ხორციელდება.

**„მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ ბოლო მონაცემებით ჩვენს საპენსიო ფონდში პირველი 100 მილიონი შეგროვდა რაც მიუთითებს იმაზე, რომ საპენსიო რეფორმა წარმატებით ხორციელდება, ამ თანხებთან სახელმწიფო არანაირ შემხებლობაში არ არის. ეს არის კერძო საკუთრება პერსონალურად იმ ყველა მოქალაქის, რომელიც ჩაერთო სქემაში. შემდეგ მოხდება ამ თანხების ინვესტირება კეთილსაიმედო ფინანსურ აქტივებში. როგორც კი საინვესტიციო საბჭო დაიწყებს მუშაობას რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, თანხები განთავსდება დივერსიფიცირებულ პაკეტებში“,** – განაცხადა ლევან სურგულაძემ

## სსიპ – ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

## აცხადებს კონკურსს

### შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად

**1. ტექნიკოსი - 1 ერთეული (ბორშემცველი და ფხვნილოვანი მასალების ლაბორატორიაში )**

**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ან ატვირთონ PDF ფორმატში:**

1. განცხადება (განცხდების ფორმა იხილეთ (www.mmi.ge)
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია /CV
4. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ-ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში, მისამართზე – ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. №10, ოთახი №315 ან ელექტრონულად ელ.ფოსტაზე info@mmi.ge 2019 წლის 25 მარტიდან 27 მარტის ჩათვლით. კონკურსის ჩატარების ზუსტ თარიღს გაცნობებთ ელ.ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით.

დამატებითი ინფორმაციისათვის (სამუშაოს აღწერა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები) ეწვიეთ www.mmi.ge, ან დარეკეთ ტელეფონზე 2380716; 577392776;

## ობოლ ბავშვთა დახმარების ახალგაზრდული ფონდის 2018 წლის ანგარიში

ობოლ ბავშვთა დახმარების ახალგაზრდული ფონდი დაფუძნდა 1996 წლის 11 ივნისს იუსტიციის სამინისტროს მიერ, ხოლო საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე ხელახალი რეგისტრაცია გაიარა 1998 წლის 3 ივლისს იუსტიციის სამინისტროში.

ფონდმა განვლილი პერიოდის განმავლობაში შესანიშნავი ღონისძიებები განახორციელა – 2018 წელს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე ფონდის მიერ გაშენებულ ხსოვნის ხეივანში პანაშვიდი გადაუხადა მამა გიორგისთან ერთად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ ბიჭებს და ყვავილებით შეამკეს მათი ხსოვნის ქვა.

საახალწლოდ ფონდმა თოვლის ბაბუასთან ერთად მოინახულა ოჯახებში ობოლი ბავშვები და შეუქმნა საზეიმო განწყობა.

ფონდის დირექტორი
**ლია პაპიაშვილი**

# თხა – ჰონორარის ნაცვლად

**თურქეთში ადვოკატს კლიენტმა ჰონორარის ნაცვლად თხა მიუყვანა. მურატ კირმიზმა გადაწყვიტა, რომ ადვოკატისათვის მომსახურება ერთ-ერთი რჩეული თხით აენაზღაურებინა.**

მამაკაცმა თხას „სამართლიანი“ დაარქვა და საზეიმო ვითარებაში ადვოკატს გადასცა. ადვოკატის თქმით, მას შემდეგ რაც საქმე მოიგო და ჰონორარის გადაცემის დრო დადგა, მისმა კლიენტმა განაცხადა, რომ მისთვის სიურპრიზი ჰქონდა. კლიენტი გავიდა და რამდენიმე წუთში თხასთან ერთად დაბრუნდა.

საადვოკატო ბიუროში ცხოველის გამოჩენამ თანამშრომლებში დაბნეულობა გამოიწვია. კლიენტმა ადვოკატს აუხსნა, რომ თხა მისი ფერმიდან ერთ-ერთი საუკეთესო იყო და რომ მისი ღირებულება 800 ლირას აჭარბებდა. ადვოკატმა კლიენტისგან „ჰონორარი“ აიღო და თხა ამ დროისათვის მისი მშობლების ფერმაში ცხოვრობს.

# 50 წლის ჯენიფერ ლოპესი თხოვდება

50 წლის ჯენიფერ ლოპესი თხოვდება – 43 წლის ალექს როდრიგესმა მას ხელი რამდენიმე დღის წინათ სთხოვა.



ვარსკვლავმა აღნიშნულის ამსახველი ფოტოები საზოგადოებას გაუზიარა, სადაც კარგად ჩანს, დაჩოქილი სპორტსმენი და 5 მილიონ ამერიკულ დოლარად შეფასებული ბრილიანტის ბეჭედი.

როდრიგესმა ლოპესს ხელი ბაჰამის კუნძულებზე გასული კვირის შაბათს სთხოვა, შემდეგ კი ერთი ფოტო გაავრცელა სოციალურ ქსელში, რომლის საშუალებითაც საზოგადოება ნიშნობის შესახებ იქნა ინფორმირებული.



# კომფორტული ქალაქების რეიტინგში თბილისი 187-ე ადგილზეა

**უცხოელი სპეციალისტებისთვის კომფორტული ქალაქების სიაში თბილისი 187-ე ადგილზეა. რეიტინგი საკონსულტაციო კომპანია Mercer-მა გამოაქვეყნა.**

რეიტინგში გათვალისწინებულია ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა დასვენების შესაძლებლობები, ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო, სამოქალაქო ტრანსპორტის მუშაობა, სოციალური ვითარება, უცხოელ სპეციალისტთა და მათი ოჯახებისთვის სამედიცინო მომსახურებისა და განათლების ხელმისაწვდომობა. რეიტინგში პირველ ადგილზე ვენაა, მეორეზე – ციურიხი, ხოლო მესამეზე ვანკუვერი. რაც შეეხდება კავკასიის რეგიონს, რეიტინგში ბაქო 195-ე ადგილზეა, ხოლო ერევანი 170-ე პოზიციაზე.

# ბრექსიტის შეთანხმება კიდევ ერთხელ ჩავარდა

**დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტერეზა მეის მიერ წარდგენილმა ახალმა შეთანხმებამ, რომელსაც მან ევროკავშირთან ხანგრძლივი მსჯელობის შედეგად მიაღწია, მხოლოდ 242 ბრიტანელმა კანონმდებელმა დაუჭირა მხარი. 391-მა დეპუტატმა კი მის წინააღმდეგ მისცა ხმა.**

დიდმა ბრიტანეთმა ევროკავშირი 29 მარტს უნდა დატოვოს, თუმცა, როგორც ჩანს, შესაძლოა, ამ თარიღის გადადება მოხდეს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

# ვალეში ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტები გამოავლინეს

9 მარტს საბაჟო გამშვებ პუნქტ „ვალეში“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრების მიერ, ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტების ქვეყნის საზღვარზე უკანონოდ შემოტანის მცდელობის ფაქტი აღიკვეთა. საფრანგეთის მოქალაქეს დ.ბ.-ს, ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტები (74 აბი), ეჭვის საფუძველზე, კუთვნილი ბარგების დათვალიერების შედეგად აღმოაჩნდა.

საქმის მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა. გამოძიება საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

# განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის უბნის ინსპექტორების და დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, 1979 წელს დაბადებული ნ.ძ. დააკავეს.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას კუსტარულად დამზადებული „მეტადონის“ შემცველი 80 გრამზე მეტი ნარკოტიკული საშუალება, ასევე „მეტადონის“ შემცველი 50 აბი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

# ბირთვული მასალა „ურანის“ გასხვისება 2.8 მილიონად!

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბირთვული მასალისადმი უკანონო მოპყრობისა და გასაღების ფაქტზე დანაშაულებრივი ჯგუფის ორი წევრი, საქართველოს მოქალაქეები: გოჩა გ. და რომან ქ. ქობულეთში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნული პირები ბირთვული მასალა „ურანის“ გასხვისებას 2 800 000 აშშ დოლარად აპირებდნენ. დაკავებულების ჩხრეკის შედეგად ამოღებულ საგანზე ჩატარდა ექსპერტიზა, რომლის დასკვნის თანახმად მისი წონაა 40,19 გრამი და შეიცავს რადიოაქტიურ იზოტოპს „ურან-238“-ს, რომელიც მიეკუთვნება ბირთვულ მასალათა კატეგორიას. ამოღებული ნივთიერება საშიშია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

# გორში ღამით 5 მანქანა გაქურდეს

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, ფაქტი სადგურის დასახლებაში, მანქანების სახელოსნოში მოხდა.

ავტომობილებიდან წაღებულია სარკეები, მაგნიტოფონები, საბურავები და მანქანის სხვადასხვა ნაწილები. სახელოსნოს მეპატრონის ინფორმაციით, ზარალი ათას ლარზე მეტია.

დახმარების მსურველთა საყურადღებოდ!
ჩვენი ანგარიშია:
№GE19TB7601536020100009
(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6877; ევრო - 3.0285;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5343
100 რუბლი - 4.0852; თურქული ლირა - 0.4926;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5857;
1000 სომხური დრამი - 5.5110.

**ამინდი 14 მარტისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +7, | დღე +21 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +1, | დღე +18 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +6, | დღე +20 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +2, | დღე +19 |
| **თბილისი:** | ღამე +10, | დღე +20 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge